საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კვირა, 7 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 15 მანეთი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ხელის მოწერა, განცხადება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. მესამე რუსთაველის ქუჩის № 18-თან. კანტორის ტელეფონი 16—62, რედაქციის 14—76.

№ 254 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 254

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79

სოფია ჯამულეთის ძე ქარცივაძე, მარულია ქარცივაძისა, ანამოლი, მარო, ევტიხი და ანანია სალუქვაძეები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ

ჯამულეთი ქარცივაძის

გარდაცვალებას ქ. ბათუმში. (3588 2—2)

ღრმათ დამწუხარებული მარიამი ვიკენტის ასული, თამარ, მარიამი, ნინო და კონსტანტინე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 4 ნოემბერს სოფ. ალისუბანში გარდაიცვალა მეუღლე, პირველის და მამა დანარჩენთა მასწავლებელი მე 5-ე ქალთა გიმნაზიისა

ტიტე ვენედიქტეს ძე კახიძე

დაკრძალვა მოხდება 7 ნოემბერს იქავე. (3597—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი და ალექსანდრა გიორგის ასული მკურნალისა, ძმა გიორგი ფხაკაძე და სიძე რომან კონსტანტინეს ძე მკურნალი აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას 7 ნოემბერს 12 ½ საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის პანაშვიდი საყვარელი

ძმის დიმიტრის (მიტია)

სულის მოსახსენებლათ. (3594—1—1)

სოფიო ივანეს ასული, ივანე ალექსის ძე, მიხეილი ალექსის ძე და ნესტორ ივანეს ძე ჩხენკელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ~~დღეს,~~ 7 ნოემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ალექსანდრე ხარიტონის ძე პინწურაშვილის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათ. (3595—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ვოიცეხი, და ალექსანდრა, ძმები—ნიკოლოზი და მიხეილი, რძლები: მარიამი ნესტორის ასული და მარიამი გრიგორის ასული, სობჩინსკები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს რომ დღეს, 7 ნოემბერს, დილის 10 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

ვლადიმერ (ვალოდია) ვოიცეხის ძე სობჩინსკის

სულის მოსახსენებლად. (3600—1—1)

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე მარო ნოდია და, დედა მატრონე, შვილები: ნინო, არჩილ, ვახტანგი და ქეთევან და მამიდა ტერეზია აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 11 ნოემბერს, დღითი ხუთშაბათს ქ. ფოთში ნახუტარის სასაფლაოზე გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

ივანე (განძლი) რომანოზის ძე ნოდიას

წირვა დაიწყება დილის 11 ს. პანაშვიდი კი 2 ს.

(2699 1—1) მარო ნოდია.

გულ დათუთქული დედა ელპიტი და განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი ძმა ივანე ჯიბუტეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველის საყვარელი შვილის და მეორეს ერთად ერთი ძვირფასი დის

მარია ნიკიფორეს ასული ჯიბუტის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდა 4 ნოემბერს ს. შვა-ამაღლების იოანე ნათლის მცემლის ეკლესიის გალავანში. (3593—1—1)

თფილისის ქალთა მეხუთე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 4 ნოემბერს სოფ. ალისუბანში მოულოდნელად გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი დაუვიწყარი

ტიტე კახიძე

პანაშვიდი დანიშნულია დღეს 12 საათზედ ქაშვეთის ეკლესიაში. (3602—1—1)

სახელმწ. თეატრი.

7 ნოემბერს

მინიონი

8 ნოემბერს—ტაისი, 9 ნოემბერს—კოტე და ძეთო, 10 ნოემბერს—რუსალკა, 11 ნოემბერს—აბესალომ და ეთერი. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, ნოემბრის 7-ს

1. „დარისპანის გასაჭირი“
2. „ირინეს ბედნიერება“

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ბილეთები გაყიდულია.

სამშაბათს ნოემბრის 9-ს

ოტელლო შექსპირისა

ახალი დეკორაციებით და ტანისამოსით მხატვრის ალ. ზალცმანისა. რეჟისორი აკ. ფალავა. (ნ. 1—1)

რკინის გზის სასწავლო განყოფილება იწვევს

ხელ-გარჯილობის მასწავლებელს

თფილისის ქართულ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის 18 გაკვეთილზე, საჭიროა დამთავრებული ჰქონდეს ფრებელის კურსები. ელისაბედის ქუჩა 200. (3573—1—1)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა

ამით აუწყებს თავის მოკავშირეებს, რომ ამა წლის 24 ნოემბერს, დღით ოთხშაბათს, დილის 10 საათზე ქალ. თფილისში დანიშნულია საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის რწმუნებულთა 1-ლი

წლიური ყრილობა

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოოპერაცია.
2) რწმუნებულთა კრებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
3) კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4) მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.
5) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6) კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
7) კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა.
8) მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
9) სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
10) კავშირის წესდების გადასინჯვა.
11) საქართველოს კოოპერატიული ბანკის გამგეობის მოხსენება.
12) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
13) მიმდინარე კითხვები.

თანახმად კავშირის წესდების მე 8, 9, 10 და 11 §§-ისა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წევრებათ ითვლებიან:

გომის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, საჯევახოს, ნატანების, სამტრედიის, ზუგდიდ-სამურზაყანოს, ზესტაფონის, ჭიათურა-საჩხერის, გორის, სენაკის, აბაშის, დუშეთის, სიღნაღის, ლორის, ვორონცოვის, ქუთაისის, თფილისის, სოხუმის და კახეთის რაიონების კოოპერატივთა კავშირები, სოხეთის კოოპერატივთა კავშირი „აიკოპა“, მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი, ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია“, ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება, ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 და 30 §§-ისა ზემო ჩამოთვლილი კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან რწმუნებულთა ყრილობაზე დასასწრებლათ:

გომის კავშირი—8 რწ., ჩოხატაურის—5 რწ., ოზურგეთის—3 რწ., ლანჩხუთის—3 რწ., საჯევახოს—2 რწ., ნატანების—2 რწ., სამტრედიის—5 რწ., ზუგდიდ-სამურზაყანოს—8 რწ., ზესტაფონის—8 რწ., ჭიათურა-საჩხერის—5 რწ., გორის—5 რწ., სენაკის—5 რწ., აბაშის—3 რწ., დუშეთის—3 რწ., სიღნაღის—10 რწ., ლორის—5 რწ., ვორონცოვის—1 რწმუნ., ქუთაის—10 რწმუნებული, თფილისის 10 რწ., სოხუმის—3 რწ., კახეთის—8 რწ., მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებლო კავშირი—1 რწ., ფოთის მომხ. საზოგადოება „ეკონომია“—1 რწ., ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება—2 რწ., ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოეთა ამხანაგობა 1 რწ.

თანახმად კავშირის წესდების მე-29 §-ისა რწმუნებულთა კრება შესდგება კავშირის წევრთაგან თავიანთ კრებაზე—რწმუნებულთა კრებაზე—ერთი წლის ვადით სპეციალურად არჩეულ პირებისაგან.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ კავშირის წესდების §§ 9, 10, 11, 29 და 30 აღნუსხული მოთხოვნილებანი, მოახდინონ სპეციალური რწმუნებულთა კრებები წარმომადგენლების ასარჩევად და არჩეულთა სია სათანადო ბლანკზე ბეჭდის დასმით დამტკიცებული დაუყონებლივ გადმოგზავნონ ცენტრალურ კავშირში.

დაწვრილებით ცნობებს ყრილობის ადგილის, რწმუნებულთათვის ბინის და სხვა ამგვარის შესახებ ჩამოსული რწმუნებულნი მიიღებენ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის მთავარ კანტორაში (მუშტაიდი, კოოპერაციის ქუჩა, საკუთ. სახლი № 15).

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის **გამგეობა.**

(ნ. 3—3)

კვირას, 7 ნოემბერს, დილის 11 საათზე ქართული კლუბის დარბაზში (დამფ. კრების ქ. № 5) დანიშნულია წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების თფილისის განყოფილების წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველი საგანია საკითხი მოხდეს თუ არა განყოფილების ლიკვიდაცია. თუ უარყოფითი გადაწყდა ეს საკითხი, მაშინ მოხდება გამგეობის და სხვა ორგანოთა წევრების არჩევა.

(3598—1—1)

საარტილერიო კურსები

რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროსაგან დაარსებული საარტილერიო, საპიროტექნიკო და საიარაღო ტეხნიკოსების მოსამზადებლად

გაიხსნება 15 ნოემბერს 1920 წ.

თხოვნების მიცემა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება საარტილერიო სექციაში. ბარიატინის ქ. სახაზ. სახლი. (3584—3—1)

განცხადება

ამა წლის 10 ნოემბერს დილის 11 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ნივთსაწყობის 7 ცხენისა. (ნავთლუღი თფილისის სამხედრო ნივთ საწყობი სამხედრო ჰოსპიტლის უკან).

(3592—1—1) **ადმინისტრაცია.**

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ ამა წლის 20 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე საზოგადოების შენობაში (კირკის ქუჩა № 7) დანიშნულია რწმუნებულთა

საერთო კრება

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) მოხსენება საზოგადოების გამგეობის, ზედამხედველი კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა საზოგადოების მდგომარეობის შესახებ მიმდინარე წლის განმავლობაში, 3) მიმდინარე საკითხები.

(ნ. 3—1)

საგანგებო სხდომა

დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა არ გავდა წინანდელ საგანგებო სხდომებს. საფრთხის წინაშე არა ერთხელ ყოფილა საქართველო და ყოველთვის მისი პოლიტიკური პარტიები ერთსულოვნობის და საერთო სიმტკიცის დემონსტრაციას ახდენდენ.

შინაურ უთანხმოების დევ წყებას უნდა მოყოლოდა შინაური ფრონტის გამაგრება, რომელიც ცხადი იყო ასეთ გამაგრებას საჭიროებდა. პარასკევის სხდომა ამ ერთსულოვნობის სურათს დიდათ არ წააგავდა.

საქართველოს ხალხს უკვე შეუძლია მისცეს თავს ნება—ოპოზიციონერობისა თვით ქეშალის საფრთხის ხანაშიაც, მართალია მოკომუნისტო ოპოზიცია ესერებისა თავდაცვის ინტერესებით ასაბუთებდა თავის უგუნურ მოთხოვნას—მთავრობა უნდა გადადგეს და პირდაპირი ხალხური მართველობა შემოვიღოთო. არ ვიცით, რას გულისხმობდენ ამ პირდაპირ მართველობაში, შვეიცარიის მცირე კანტონების წესებს, თუ რუსეთის საბჭოთა სისტემას. მაგრამ, რომ აქ იყო სურვილი არევ-დარევისა ომის ხანაში, მაშინ, როცა ამაში დაინტერესებული არიან ზოგიერთი კომუნისტი მეზობლები, ეს ჩვენთვის ეჭვს გარეშეა.

მართალია ესერები გაიძახოდენ, ჩვენ დამოუკიდებლობას ვიცავთო, მაგრამ ვინც კომუნისტურ პრესას თვალყურს ადევნებდა, ის შენიშნავდა, რომ ქემალის შემოსევისაგან საქართველოს დაცვას პირწმინდა კომუნისტებიც კი გვპირდებიან.

ნამდვილი ღირებულება ამ დაპირებას, რასაკვირველია არა აქვს. ეს მხოლოდ ნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა იმდენათ მტკიცეა, რომ თვით ჩვენს მოძულეებსაც არ შესწევთ ძალა ამ იდეის წინააღმდეგ ხმა ამოიღონ.

სამაგიეროთ მათ იშოვეს მეორე გზა თავის ბრაზმორეული ბოღმის გადმოსანთხევათ. ეს გზაა—მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება, მისი საქმის აღნიშვნა.

უნაკლო მთავრობა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. სრული და დამთავრებული წყობილება ჩვენ ჯერ არა გვაქვს, არც ადმინისტრაციის პერსონალური შემადგენლობით, არც საქმეების მხრივ. ერთიც და მეორეც თანდათან იღებს გარკვეულ დემოკრატიულ ხასიათს, სისტემატიურათ იწმინდება გამოუსადეგარი და მავნე ელემენტებისაგან.

ამ რიგათ მზადდება კადრი გამოსადეგ და საიმედო მოხელეების.

ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა. ჯერ კიდევ საბოლოო სახე არ მისცემია. ცხადია ასეთ პირობებში ადმინისტრაციის ამა თუ იმ მოხელის ცოდვების აღმოჩენა, არც ისე ძნელია. და ოპოზიციას ამისთვის შრომა სრულიადაც არ სჭირდება. ამას აჩენს და ააშკარავებს თვით მთავრობის რევიზიები, თვით კონტროლი. ამას სდევნის მთავრობა და სჯის სამართლის ხელი. ცხადია ოპოზიციას, როცა ის ამ შემთხვევებს, მთავრობისაგან აღმოჩენილს და გამოაშკარავებულს, ხელზე იხვევს, მიზნათ აქვს არა საქმის გამოსწორება, არამედ სხვისი ნაღვაწის თავისთვის მიწერა და ხალხის თვალში მის მხსნელათ გამოსვლა.

ამის გარეშე ოპოზიციის გამოსვლა ეხებოდა სურსათის ნაკლებობას და პურის უვარგისობას.

არავინ არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ პურის საქმე მეტათ შეაფერხა წინანდელმა ომმა, რომელმაც მთელი სათადარიგოთ შემონახული სურსათი შეიწირა. არავინ არ მიიღო მხედველობაში ის გარემოებაც, რომ მიუხედავათ ამისა პირველი ხმა, პირველი რეპრესიები და გაუმჯობესების ღონისძიებები იმავე მთავრობისგან გამოვიდა.

რასაკვირველია, ეს მისწრაფება ჩვენი მთავრობისა, რომ საზოგადოების მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს, ყოველი ნაკლი თავისი დაუფარავათ აღნიშნოს და გამასწორებელი ზომების შემუშავებაზე იზრუნოს—ეს ყოველი ავიწყდება ოპოზიციას:

და როცა საფრთხის წინაშეც ისინი ამ ულაზათო და უადგილო ოპოზიციონერობას იწყებენ, ჩვენ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათ თავის ჯგუფური პოლიტიკა უფრო აინტერესებს, ვ ნემ ქვეყნის ბედი.

მუშა მშიერია, გლეხი ჩაუცმელი, გაიძახოდენ ეს ვითომდა ხალხის გულშემატკივარნი. და მათ მიიღეს კიდეც შესაფერი პასუხი გ. ჟულელისაგან. ეს დამშეული მუშა და ჩაუცმელი გლეხი უკეთ ხედავს და გრძნობს ამ ნაკლულევანების ნამდვილ მიზეზებს, და არ ივიწყებს ჩვენი მთავრობის მუშაობის „მთავარ გზას“, მთავარ ხაზს, რომელმაც დღემდე არა ერთი საფრთხისაგან იხსნა საქართველო. ეს ხალხი, დემოკრატია კარგათ ხედავს რომ მთავრობა მთელი თავის ძალ ღონით მის ინტერესებზე ზრუნავს, რომ იგი არავითარ შესაძლებლობას მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ხელიდან არ უშვებს, და ამიტომ იგი ამ არზმკითხე დამცველებს, რომელნიც მისი შიმშილით სპეკულიატურათ ცდილობენ ისარგებლონ—ახლაც ხელს კრავს ისე, როგორც წინეთ და ეტყვის: ვინც ჩვენთანაა—ის მშვიდად უნდა გამოჰყვეს მოსული საფრთხის წინაშე. ის ნაკლის გასწორებას თანამშრომლობით, დახმარებით შეეცდება, ხოლო საფრთხის დროს ხალხს მხნეთ გვერდში ამოუდგება. უნიადაგო ოპოზიციამ, გვგონია, ამ თავის გამოლაშქრებით საბოლოოთ დაკარგა ნიადაგი, საბოლოოთ გამოაშკარავა თავის ანტისახელმწიფოებრივი თვალსაზრისი. ამათ ნაჩვენებ გზას ცხადია ჩვენი ხალხი ვერ გაჰყვება და ამიტომ მათი გაწიწმატებული ყვირილი ხალხის ინტერესებზე მხოლოდ მათ დემაგოგიის ნიმუშათ დარჩება.

საქართველოს დემოკრატია მიჰყვება თავის რჩეულ გზას და იმ მთავრობას, რომელიც მისი ნდობით სარგებლობს. ავანტიურას და ავანტიურისტებს კი იგი არ გაჰყვება.

საქართველოს ცნობა გერმანიის მიერ

იმ დროს, როდესაც საქართველოს ხალხის მთელი ყურადღება სამხრეთიდან მომდგარ საფრთხეზეა მიპყრობილი, მის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადიდგა: სახეში გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის გერმანიის მიერ **იურიდიული** (de iure) ცნობა, რომელიც ამცნო მთავრობას ჩვენმა წარმომადგენელმა ვლ. ახმეტელაშვილმა. ფრიად სასიხარულო და დიდ-მნიშვნელოვანია ეს ფაქტი. რაც უნდა დამარცხებული იყოს მსოფლიო ომში, გერმანია, როგორც სახელმწიფო, ისე არ დასუსტდება, რომ ევროპაში პირველხარისხოვანი როლი არ ითამაშოს. თუნდაც მის სამხედრო ძლიერება დაქვეითდეს, ის კულტურული სიმაღლე, რომელსაც გერმანიამ მიაღწია უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში, ის პირველხარისხოვანი ადგილი, რომელიც მრეწველობის განვითარებაში ჰქონდა მას მოპოვებული, ყველა ეს ისე ადვილათ ვერ მოიშლება, რომ გერმანიას ყველა ქვეყნები ანგარიშის გაწევის ღირსად აღარ სთვლიდენ. თუ გერმანიამ ომში მარცხი განიცადა, ეს მარცხი უმთავრესად შეეხო მის ცხოვრების იმ მხარეებს, რომლებიც იმპერიალიზმის და მილიტარიზმის გამოხატულებას წარმოადგენდა.

დღეს გერმანია ახალ საძირკველზე აშენებს თავის მომავალს და ეს საძირკველია დემოკრატიზმი, კოლექტიურ წარმოებაზე აგებული მეურნეობისაკენ გადახრით. ეს ის გზაა რომელზედაც ახლო მომავალში აუცილებლად უნდა შესდგეს ყოველი წინ წასული სახელმწიფო. მაშასადამე დღეს მშობიარობის ტკივილებით შეპყრობილ გერმანიის მნიშვნელობა მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და მის ხმას საქართველოს შესახებ არ შეიძლება არ ჰქონდეს დიდი გავლენა ევროპის სახელმწიფოთა აზრზე. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სულ ახლო მომავალში დემოკრატიული გერმანიის მიერ გადადგმულ ნაბიჯს ყველა ძლიერი სახელმწიფოები მიჰყვებიან და ფაქტიურად უკვე ყველას მიერ ცნობილი სახელმწიფო იურიდიულ ცნობასაც მოიპოვებს.

დასავლეთ ევროპის გარდა საქართველოს იურიდიული ცნობა გერმანიის მიერ მნიშვნელოვანია აღმოსავლეთის საქმეებისთვისაც. ამ ფაქტმა არ შეიძლება პირდაპირი გავლენა არ მოახდინოს ოსმალეთის ნაციონალისტების და თვით საბჭოთა რუსეთის სულიერ განწყობილებაზედაც. მთელს ევროპაში გერმანია ერთად-ერთი სახელმწიფოა რომელთანაც საბჭოთა რუსეთი აშკარა მტრულს განწყობილებაში არ იმყოფება. მისი მომდურება იქნებოდა უდიდესი მარცხი საბჭოთა რუსეთისა და ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ანგარიშს გაუწევს ამ გარემოებას თავის მოქმედებაში საქართველოს მიმართ. ესევე ითქმის ქემალ-ფაშის შესახებაც. ჩვენ იმის იმედი არა გვაქვს, რომ ქემალ-ფაშის მოქმედებაში დიდს როლს თამაშობს პოლიტიკური კეთილგონიერება, რომელიც მას შეაჩერებს საქართველოს საზღვრებში მტრული შემოჭრისაგან; მაგრამ დიდი საქმეა ისიც, რომ მან იცოდეს, რომ ამნაირს მის საქციელს არ თანაუგრძნობს არა მარტო ის ევროპა, რომელსაც იგი თავის მტრად სთვლის, არა მარტო იმპერიალისტური ევროპა, არამედ ევროპა დემოკრატიულიც, ის სახელმწიფოც, რომელიც ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლას ეწეოდა ოსმალეთის ნაციონალისტებთან ერთად. საქართველოს ცნობა გერმანიის მიერ, მაშასადამე, ზნეობრივათ აძლიერებს ჩვენს მომავალს მოწინააღმდეგეს, თუ კი იგი თავისას არ მოიშლის და მოინდომებს რაიმე მტრული მოქმედების დაწყებას ჩვენს მიმართ.

პრესა

„კომუნისტმა“ როგორც იქნა ყურადღება მიაქცია საბჭოთა რუსეთის ერთად-ერთი მოკავშირის ქემალ-ფაშის საქართველოსთან მოახლოვებას. „კომუნისტს“, რა თქმა უნდა, არ აშინებს ამ ფაშის გამარჯვება სომხეთზე. იგი ცდილობს გააბრულოს მკითხველი, რომელმაც მოიცვა ჩვენი დემოკრატია ამის გამო „ერთობის“ და „ბორბის“ მიერ ატეხილ განგაში მას მხოლოდ ლამაზ ჟღერის ფრაზებზე.

„ოროვე ცენტრალური ორგანო მმართველი პარტიისა ცდილობს დაარწმუნოს თვით ის კითხვა, თუ რამდენით შეუძლებელია ეს შემოსევა და ვერ ქრა გვექნება იმას დამამტკიცებელი საბუთები, რომ ეს შემოსევა არავითარ შემთხვევაში არ არის შესაძლებელი? როგორც დიპლომატიური და საერთო პოლიტიკური ზომები მა-

დღეს

5 ნოემბერს ოსმალები უტევდნენ სომხებს ალექსანდროპოლის მიდამოებში, მაგრამ სომხის ჯარების მიერ უკუქცეულ იქმნენ. სომხებმა დაიჭირეს სადგური კიზილ-ჩახ-ჩახი.

თემთა პალატაში ლორდ კერზონმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა კომისიას არასდროს არ გაუცია ბრძანება შავ ზღვაზე ბლოკადის დაწესებისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ხმელთა შუა ზღვის სამხედრო სარდალი ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რომ ოსმალთა ნაციონალისტებისათვის სამხედრო მასალა არ გაზიდონ.

შვეციის სოც.-დემოკრატიულ წრეებში უთანხმოებაა მოსკოვის პირობების მიღების და მესამე ინტერნაციონალში შესვლის საკითხში. მოსალოდნელია განხეთქილება.

ირლანდიაში არეულობები გრძელდება, უკანასკნელ დღეებში სინფეინერები 14 ჯერ დაესხნენ თავზე პოლიციელებს, არის მსხვერპლი.

ლონდონის პრესა იუწყება, რომ ინგლისისა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო მოლაპარაკება განახლდება არა უადრეს ორი თვისა.

ბალახოვიჩის ჯარებთან ერთად დასავლეთის ფრონტზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებს გენ. პერამიკინის ჯარი 30 ათას კაცისაგან შემდგარი.

ვრანგელის ფრონტზე ბოლშევიკებმა დაიკავეს სად. რიკოვი, ნოვო ალექსეევკა, და სალკოვო.

ილო მთავრობამ «მას გამოსარკვევათ, თუ რა განზრახვები აქვს ქემალ-ფაშას საქართველოს მიმართ"?

საწყალი ქემალ-ფაშა! თურმე საქართველოს მთავრობა მას აწერს იმისთანა განზრახვებს, რაც მას ფიქრადაც არ მოსვლია! მართალია, ქემალ-ფაშის აგენტებმა აჭარაში გამოგზავნილი პროკლამაციებში უკვე განაცხადეს, ქემალ ფაშა მალე მოვა და აჭარას „იხსნის" „მუსულმანთა მტრებისაგან, ე. ი. ქართველებისაგან და დაუბრუნებს დედა სამშობლოს", ე. ი. ოსმალეთსო: მართალია ტფილისის „კომუნისტის" ბაქოელმა მოძმემ და სეხნიამ უკვე განუცხადა ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთ, რომ ქემალ-ფაშა ამ ადგილებში შემოსვლისთანავე მათ მიანიჭებს საბჭოთა წყობილების ბედნიერებასო. მართალია საბჭოთა რუსეთის მთავრობა საქართველოს ვერავითარ იმის გარანტიებს ვერ აძლევს, რომ ქემალ-ფაშა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე შეჩერდება, მაგრამ ყველა ეს არაფერია რუსული „კომუნისტის" ინფორმაციასთან შედარებით: მხოლოდ ამ გაზეთმა იცის ნამდვილი განზრახვა ქემალისა, მხოლოდ ამან იცის, რომ ქემალი მშვიდობიანობის მოყვარულია, როგორც კრავი.

⁂

ჩვენმა გაზეთმა ქემალ ფაშასთან მოსალოდნელ ბრძოლაში იმედი დაამყარა, სხვათა შორის, ევროპის სოციალისტურ პარტიებზე. „კომუნისტი" ცდილობს მუშებს და გლეხებს მოაჩვენოს, რომ ჩვენის მხრით ეს არის იმპერიალიზმზე დაყრდნობა.

„რაც უნდა ბუნდოვანი იყოს ეს მოთხოვნა და განზრახვა, ერთი რამ ცხადია მენშევიკების გეგმაში. ჩვენი ქვეყნის დასაცველათ უნდა მოვიწვიოთ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების ჯარები... ამნაირად, საფრანგეთის და ინგლისის გენერლები საქართველოს ტერიტორიაზე, ინგლისის და საფრანგეთის სამხედრო გემები არა მარტო ბათომის არამედ საქართველოს ყველა პორტებში—აი ზომები ქემალ ფაშის შემოსევის თავიდან ასაცილებლად".

ჩვენი ქვეყნის სახსნელად ქემალ-ფაშის ბაშიბუზუკების თავდასხმისაგან ხომ სოციალისტების მოთხოვნით თუნდაც რაიმე ძალების გამოგზავნა მოხერხდეს, განა ეს ნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ამით რაიმე საფრთხეში ჩავარდება? სოციალისტების ასეთი დახმარება ძლიერ აშინებს „კომუნისტს", რადგან ეს საფრთხეში სწორეთ მის ახალს იდეურს მოკავშირეებს „ამხანაგ" ქემალ-ფაშას და ენვერ ფაშას განზრახვებს შეუშლის და ამიტომ ცდილობს იგი მოაჩვენოს, რომ სოციალისტების დახმარება იმპერიალისტური ქვეყნების ჯარების მოწვევას უდრის.

თანამედროვე კითხვები.

XVIII

ქემალი და ლენინი.

ქემალი შორეული წარსულის წარმომადგენელია, ლენინი შორეული მომავალის. ის არის ფეოდალური წრეების მედროშე, ვითომ, მუშათა კლასის. ახლანდელი ხანა ქემალს ვეღარ ითვისებს, ლენინს ჯერ ვერ შეითვისებს. მაგრამ იგივე ხანა შესაძლებლათ ხდის ქემალ-ლენინის კავშირს.

ლენინმა სამი წლის განმავლობაში დაიწყო რევოლიუციით და გაათავა რეაქციით. ქემალმა დაახლოვებით ამავე ხანში დაიწყო რეაქციით და გაათავა „რევოლიუციით". დღეს ამ სამი წლის თავზე ბოლშევიკურ რუსეთს შეუძლია იდღესასწაულოს ლენინ ქემალის კავშირი, როგორც ლოღიკური და აუცილებელი დაბოლოება 25 ოქტომბერს დაწყებული სოციალიზმის.

შესაძლებელია თუ არა ამ კავშირის ხანგრძლივობა?

უახლოესი მიზანი ორივეს ერთნაირათ აქვს: ორივე ებრძვის ევროპის ბურჟუაზიას, ორივე ცდილობს მის დამარცხებას. მაგრამ ქემალს უნდა ამ გამარჯვებით გზა გაიკაფოს ძველი დროისკენ, ლენინი ფიქრობს ამავე გზით ახალი დროისკენ გადახტომას. ლენინი და ქემალი მისაღები არიან ერთმანეთისთვის დროებით, განსაზღვრულ წერტილამდის.

ამას არ მალავს ბოლშევიკური პრესაც. გუშინ „კომუნისტი" სწერდა, ჩვენ აღმოსავლეთის ხალხს ვიწვევთ როგორც გარეშე მძარცველების, ისე შინაური ხანების და ფაშების წინააღმდეგ, ჩვენ ძირს ჩამოვაგდეთ კუჩუკ-ხანი, ეს სპარსეთის ქემალი, და აქედან სჩანს, როგორ ვუყურებთ ჩვენ იმ განუვითარებელი ხალხის მოძრაობას, რომელსაც სათავეში უდგანან გამეფებული კლასის წარმომადგენლებიო.

ჯერ იმეგობრებენ ქემალს, შემდეგში კი ჩამოგდებას პირდებიან. ასეთია ლენინელების პოლიტიკა, და ისინი არ გაემხელდენ თავის განზრახვებს, რომ სოციალდემოკრატიას ასე მწვავეთ არ დაესვენიზია მათთვის ეს კითხვა. მეტი გზა არ ჰქონდათ, ან მართალი უნდა ეთქვათ, ან ტყუილი, გაჩუმება შეუძლებელი იყო.

ქემალიც არ არის ისე უჭკუო, რომ ამას ვერ ხვდებოდეს. ისიც შეეცდება, რომ მოატყუოს, და თავი არ მოატყუებინოს. იქნება ადერბეიჯანის თათრები უცდიან ოსმალეთ „ბოლშევიკს" რუსული ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბაქოში ახლა კარგათ აქვთ ნაგემები საბჭოთა მთავრობა, და შეიძლება იქაური ქვეშევრდომები მოუთმენლად ელიან ქემალს მისკენ დადგმული უღლის გადასაგდებათ. ქემალ-ლენინის ხვალინდელი შეჯახება ჩვენ არ გაგვიკვირდება ისე, როგორც არ გვიკვირს მათი დღევანდელი შეთანხმება.

ქემალი ეროვნული მოძრაობის მეთაურია. მაგრამ ეროვნული მოძრაობა ყოველთვის არ არის რევოლიუციონური. ხანდახან და ძალიან ხშირათაც ის რეაქციონურია. ისტორიამ ბევრი იცის ამისთანა მაგალითები. კაპიტალისტური ევროპა იმორჩილებდა ჩამორჩენილ აზიას, მაგრამ თითონვე შექმნდა იქ განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაპერწკლები. კაპიტალიზმი, როგორც ვიცით, თითონ ამზადებს თავის საწინააღმდეგო იარაღს. იყო ისეთი დრო, როცა მოწინავე ქვეყნები თავიდანვე სპობდენ ყოველივე მრეწველობას ჩამორჩენილ ქვეყნებში. ასე იქცეოდა, მაგალითად, ინგლისი ირლანდიაში და ინდოეთში. გაჰქონდა იქიდან ნედლი მასალა და საშუალებას არ აძლევდა იქვე გაეხსნათ ხოლმე ფაბრიკა-ქარხნები ამ მასალის დასამუშავებლათ. მაშინ ფეხს იკიდებდა ეროვნული მოძრაობა, თავისი საწარმოო ძალების გასავითარებლათ. ირლანდიელი რევოლიუციონერები ფიქრობდენ ირლანდიაში კაპიტალისტური წარმოების მოწყობას, ცდილობდენ ეკონომიურათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ეს იყო წინსვლელი, რევოლიუციონური მოძრაობა. მარქსი და ენგელსი მხარს უჭერდენ ამ მოძრაობას. ისინი, მეორე მხრივ, ტაშს უკრავდენ იმ დაპყრობას, იმპერიალისტურ ქვეყანას, რომელიც შედიოდა სადმე დამორჩილებულ კუთხეში, თავისი ტეხნიკით, თავისი გზებით, თავისი ელექტრონული სინათლით, ერთი სიტყვით, ყველა თავისი კულტურული ძალებით. ასე აფასებდენ, სხვათა შორის, ამერიკის შესვლის ტეხასში *).

რისთვის იბრძვის ქემალი? უნდა, რომ გზა გაუკაფოს ოსმალეთის კაპიტალიზმს და ამისთვის ელობება წინ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალს, თუ ის ცდილობს ძველი ფეოდალური ოსმალეთის აღდგენას ძველ საზღვრებში? პირველ შემთხვევაში მისი ეროვნული დროშა იქნებოდა რევოლიუციონური ხასიათის, მეორე შემთხვევაში იქნებოდა რეაქციონური.

ქემალს უფრო ეს უკანასკნელი ეტყობა. ის მტერია კაპიტალიზმის, რომელიც თავისთავათ აამოძრავებს მშრომელ ხალხს ხანების და ფაშების წინააღმდეგ. აზიის გამოსაღვიძებლათ საჭიროა იქ კაპიტალიზმის განვითარება. ამ მხრივ კაპიტალისტური ევროპა უფრო მეტს მოუტანდა, ვიდრე ბოლშევიკური რუსეთი. თითონ ბოლშევიკები სწერენ ხოლმე, რომ აღმოსავლეთში მუშათა კლასი სულ უმნიშვნელოა, ცოტაა, და იქაური მშრომელი ხალხი გაიმარჯვებს მხოლოდ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ეს ხელმძღვანელი კი კაპიტალისტური განვითარების ნაყოფია.

არ შეიძლება, რომ აღმოსავლეთმა რევოლიუცია დაიწყოს და სინათლე გაუგზავნოს დასავლეთს, თუ დასავლეთის მუშათა კლასმა არ უწინამძღოლა აღმოსავლეთის ხალხს, ე. ი. თუ დასავლეთმა არ დაიწყო ეს რევოლიუცია. ასე ბორბალში ჩაგდებულ თრიასავით ტრიალებენ ბოლშევიკები. ისინი ჯერ აფურთხებენ დასავლეთის ჭაში და მერე იქიდან დასალევი წყლის ამოღებას ფიქრობენ.

ქემალი მეტ სამსახურს გაუწევს თავის სამშობლოს, თუ ის კარს გაუღებს ევროპის კაპიტალს. მაშინ, ვიმეორებთ, მის ეროვნულ მოძრაობას ექნება რევოლიუციონური მნიშვნელობა.

ლენინი მთელი თავისი პოლიტიკით კარებს უკეტავს იმავე კაპიტალს. ის ამიტომ რეაქციონურ საქმეს აკეთებს თავისი სამშობლოსთვისაც და აზიის ქვეყნებისთვისაც. მაგრამ ლენინს ემართება ერთნაირი სიზმარივით. სიზმარში ხშირათ კაცს გაქცევა უნდა და ადგილიდან ვერ იძვრება. „სოციალისტური" რუსეთის მეთაური თავის ოცნებაში მირბის სოციალიზმისკენ, სინამდვილე კი ფეხებში ებანდება და არ უშვებს. ევროპის წინააღმდეგ ამხედრებს აზიას, უნდა კი, რომ ევროპასთან ალებმიცემობა გააჩაღოს და მშიერ რუსეთს ცოტათი მაინც სული მოათქმევინოს.

მისი ორმაგი პოლიტიკა იასება საქართველოს გარშემოც. ერთი მხრივ ის უთუოდ დაინტერესებულია, რომ საქართველო დარჩეს დამოუკიდებელ კუთხეთ. აქედან მაშინ პატარა ფანჯარა ექნება ევროპისკენ. რამეს გაიტანს ამ გზით და რამეს შემოიტანს. ეს არის მისი ეკონომიური ინტერესი. მეორე მხრივ ის უთუოდ ცდილობს ჩვენი მშრომელი ხალხის თავისკენ მიმხრობას, აქ დემოკრატიული წესწყობილების დამხობას და საბჭოთა დროშის აფრიალებას, მერე ამ ხიდზე გასვლას და აზიაში ცეცხლის ანთებას. ეს არის მისი პოლიტიკური ინტერესი.

რომელი ინტერესი გაიმარჯვებს? ეს რთულ საერთაშორისო პირობებზეა დამოკიდებული. ამ ობიექტიურ პირობებში დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი მუშა-გლეხობის სიბიექტიურ მისწრაფებას. თუ ის ყოველ წუთს მზათ იქნება თავდასაცველათ, თუ ის აწი, როგორც აქამდის, გამოიჩენს ერთსულოვნებას, სიმტკიცეს, მაშინ ბოლშევიკების პოლიტიკურ ოცნებას ცივი წყალი გადაესხმება და შორს გაფრენის მადა დაეკარგება.

ჩვენ გვწამს, რომ ეს ასე იქნება. არ გვეშინია ამიტომ ქემალ-ლენინის კავშირის.

სამი წლის განმავლობაში ლენინის პოლიტიკამ ევროპიული რუსეთი დაუახლოვა აზიის ჩამორჩენილ ქვეყნებს, შექმნა იქ ისეთი ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც უფრო შესაფერისია ქემალის პოლიტიკისთვის. ამ სამი წლის განმავლობაში რუსეთის მუშათა კლასი უნდა დარწმუნებულიყო, რომ რუსეთის წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ ევროპისკენ დაბრუნებით. ამას უნდა მოწმობდეს ყველაზე უფრო ის გარემოება, რომ მუშათა რაოდენობა კომუნისტურ პარტიაში კლებულობს დღითი-დღე და კატასტროფიულათ. ახლა იქ მუშები შეადგენენ მარტო 11 პროცენტს... ამ ფაქტს ახსნა აღარ სჭირდება.

რაც უნდა ძლიერი იყოს ოცნება, ის ვერ მოერევა სინამდვილეს. სინამდვილე კი მოითხოვს ევროპის დემოკრატიის გამარჯვებას. სინამდვილე სამერმისოთ ევროპა-აზიის გამეფებული კლასების შეთანხმებას უფრო მოითხოვს, ვიდრე ფეოდალიზმის და სოციალიზმისას.

ხ. დედაბრიანი.

---

*) ტეხასი იყო ინდოელებით დასახლებული კუთხე მექსიკის საზღვარზე. 1848 წლის ხელშეკრულებით მექსიკა იძულებული გახდა ხელი აეღო ტეხასზე შეერთებული შტატების სასარგებლოთ.

დამფუძნებელი კრება

არა ჩვეულებრივი სხდომა.

5 ნოემბერს შესდგა დამფუძნებელი კრების არაჩვეულებრივი სხდომა. განსახილველი იყო საკითხი ქემალისტების სომხეთზე თავდასხმით ჩვენი რესპუბლიკისათვის შექმნილ მდგომარეობის შესახებ. სხდომას დაესწრნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და აურაცხელი გარეშე საზოგადოება.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. სხდომის გახსნისას მან შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას:

თავმჯდომარის სიტყვა.

მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ჩვენი დღევანდელი სხდომა არაჩვეულებრივია. ეს გამოწვეულია არაჩვეულებრივ მდგომარეობით, რომელიც ჩვენს გარშემო შეიქნა უკანასკნელ ხანებში ოსმალეთის სომხეთზე თავდასხმის გამო. იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ჩვენ არ ვიკრიბებოდით, მოხდა ისეთი ამბები, რომელმაც დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი ჩააფიქრა და აიძულა მოეწვია დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომ მას გამოეთქვა თავისი აზრი, როგორც რესპუბლიკის უზენაეს უფლებების მატარებელ ორგანოს. უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ რომელიმე სახელმწიფოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია მაშინ, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებსაც აქვთ ასეთივე დამოუკიდებლობა და თავისუფლება. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სომხეთი და საქართველო იბრძვიან თავის დამოუკიდებლობისათვის; ეს ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულა და არ შეიძლება ითქვას ისიც, რომ იგი დასრულებული იქნება ხვალ. კერძოთ სომხეთის დემოკრატია ამ დღეებში მეტათ მძიმე, საშინელ პირობებში ჩავარდა. მე არ შევეხები დაწვრილებით მის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აღწერას; ამ ბრძოლაში მან მოიპოვა დამოუკიდებლობა. მაგრამ მტერი არ დაცხრა და დღეს ოსმალეთის ერთმა ნაწილმა გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელმაც აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო სომხეთის ხალხი. მე მოგახსენებთ ქემალ-ფაშის ჯგუფის მოქმედების შესახებ. ეს ჯგუფი დაიძრა სომხეთისაკენ და დღეს ყარსი უკვე მის ხელშია. არ შეიძლება ამ გარემოებას ჩვენ სერიოზული ყურადღება არ მივაქციოთ. დამფუძნებელი კრება დღესაც, როგორც ყოველთვის, თავის გადამჭრელ სიტყვას ეტყვის ჩვენს ხალხს და ეს სიტყვა აღაფრთოვანებს ჩვენს დემოკრატიას და გამოიყვანს მას, როგორც ერთ კაცს, სამშობლოს დასაცავათ, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მტერი არ შეჩერდება და მოისურვებს ჩვენი საზღვრების გადმოლახვასაც.

საერთო მდგომარეობის შესახებ მთავრობის სახელით განცხადებას აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი.

მთავრობის განცხადება.

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებზე კვლავ გამოჩნდა შავი ღრუბლები. ჩვენს არსებობას და თავისუფლებას კვლავ წინ ეშლება შავი აჩრდილი. ჩვენი ხალხი კვლავ დგება საგარეო საფრთხის წინაშე. ამ ჟამად ეს საფრთხე მოდის სამხრეთიდან. სამხრეთის ჭიშკრებთან გამოჩნდენ ოსმალეთის ლაშქრები. ქემალ-ფაშას მიერ ყარსის და სომხეთის სხვა ნაწილების დაკავებამ შექმნა საქართველოსათვის ახალი მდგომარეობა, ახალი სამეზობლო ურთიერთობა და თუ ჩვენ ახლავე ამაში არ გავერკვევით და შესაფერი პოზიცია არ დავიჭირეთ—მერე გვიანი იქნება. ვინ არის ქემალ ფაშა და რა სურს მას ჩვენში? ქემალ-ფაშა—ეს ოსმალეთის გამდგარი გენერალია, რომელიც არ სცნობს ოსმალეთის ომში დამარცხებას და მის შედეგებს. უარყოფს ოსმალეთის კანონიერ მთავრობას და მას მიერ დადებულ ზავის პირობებს და აგრძელებს ენვერ-ფაშის პოლიტიკურ პროგრამას და ვეხიბ-ფაშის სამხედრო გეგმებს. ის დამარცხებული მცირე აზიაში ელინთა—ჯარების მიერ, დევნილი ზღვებიდან ინგლისის მიერ, მოეშურება ამიერ კავკასიისაკენ შიგნით სამშობლოში დაცემული პრესტიჟის აქ აღსადგენად. მეორდება 1918 წლის აპრილის ამბები იმ განსხვავებით, რომ მაშინ ჩვენ საქმე გვქონდა ძლევამოსილ ოსმალეთთან და მის მოკავშირე ცენტრალურ სახელმწიფოებთან, ახლა კი დაუძლურებული ოსმალეთის ურჩ მხედრებთან. სომხეთზე თავდასხმა და მისი განადგურება პირდაპირი მუქარაა ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისათვის. სომხის ერის კვლავ მონობაში ჩავარდნა ნიშნავს ჩვენი თავისუფლების მუდმივ განსაცდელში ყოფნას. დამოუკიდებელი სომხეთი აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელ საქართველოს არსებობისთვის, თუ ამას დაუმატებთ ქემალ-ფაშის მთავრობის საპროტესტო ნოტას, რომელიც მან ჩვენ გამოგვიგზავნა აგვისტოში ბათომის ოლქის დაკავების გამო, დავინახავთ, რომ ქემალ-ფაშის ლაშქარი არ დაკმაყოფილდება სომხეთით და ჩვენსკენაც გამოილაშქრებს. ჩვენ, რასაკვირველია არ ვერევით ქემალ-ფაშის შინაურ საქმეებში. ჩვენის აზრით ოსმალეთის სწორად გაგებული სახელმწიფო ინტერესები უეჭველად მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ჩვენთან კეთილ-განწყობილების დამყარებას. მაგრამ ეს ჭეშმარიტება ოსმალეთის მოღვაწეებმა ვერ გაიგეს 1918 წ. და, ალბათ, ვერ იგებენ ვერც ეხლა. წუთიერი, წარმავალი ინტერესების მუდმივ ინტერესებზე მაღლა დაყენება ნიშანდობლივი თვისებაა ბევრი პოლიტიკის და ალბათ ამით აიხსნება ქემალისტების საპროტესტო ნოტა და მათი აგენტების აგიტაცია საქართველოს საზღვრებში. და აი აქ ჩნდება მთელი სიმართლე ბრძნული თქმულების: „თუ გნებავთ მშვიდობიანობა, ემზადეთ ომისათვის". თუ გნებავთ ქემალის ლაშქრის თავიდან აცილება—წინ დაუყენეთ მას ასეთივე ლაშქარი, აჩვენეთ მას შესაფერი სამხედრო ძალა და ის იძულებული იქნება ჩვენს საზღვრებს გზა აუაროს. ქემალ ფაშა ემყარება არა იმდენათ თავის სუსტს ძალას, რამდენათაც ბოლშევიკების და ადგილობრივი მუსულმანების თანაგრძნობას.

ჩვენ გვაქვს მოსკოვის მთავრობის კატეგორიული განცხადება, რომ ის ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას სავსებით ემყარება, ბათომის ოლქს საქართველოს უდავო ნაწილად სცნობს და ქემალ-ფაშის საქართველოში გამოლაშქრებას დაუშვებლად აღიარებს. ამ დაპირებას არ ახლავს არავითარი გარანტია და არც შეიძლება ახლდეს. გარანტია არის მხოლოდ ჩვენი ძალა, ჩვენი მომზადება, ჩვენი მამაცობა. ჩვენ ახლა არ ვართ ის, რაც ვიყავით 1918 წელს. ახლა ჩვენ გვაქვს მოწყობილი სახელმწიფო, გვყავს ბრძოლებში გამოწვრთნილი მუდმივი ჯარი და სახალხო გვარდია, გვაქვს ხალხის ერთსულოვნება და აი ეს არის ჩვენი თავისუფლების გარანტია, ჩვენი ბატონობის და სუვერენობის უზრუნველყოფა. ყოველ შემთხვევაში ერთი მაინც ვიცით: მოსკოვის მთავრობა აქტიურ დახმარებას ქემალისტებს ჩვენს წინააღმდეგ არ გაუწევს. დარჩა ამათ მთავარი იმედათ ადგილობრივი მუსულმანები, განსაკუთრებით ბათომის ოლქის მცხოვრებნი, სადაც ქემალისტების აგენტებმა უკვე წამოყვეს თავი და შეუდგენ მოღალატურ ქსელის გაბმას. ამ მუშაობას ეწევიან განსაკუთრებით ოლქის უმუშევარი მცხოვრებნი, რომელთაც პანტიურქიზმი და ხალხის აწიოკება თავის სარჩენ წყაროთ გაუხდიათ. მშრომელი ხალხი პირიქით—ყოველივე არევ-დარევას გაურბის და ცდილობს წინანდელი შემოსევებით აკლებული თავისი სახლ-კარი აღადგინოს, თავისი წაფორხილებული ეკონომიური მდგომარეობა შრომით და გარჯით გააუმჯობესოს. ამათთვის ყოველგვარი ლაშქრობა პირდაპირ დამღუპველია. საქართველოს მუსულმანებმა არა ერთხელ გამოცდილებით იციან რომ ოსმალეთის რაზმების ჩვენში შემოსვლა მუდამ თავდება მათი დარბევით და ბოლოს ამ რაზმების უკან გაქცევით. მათ უნდა იცოდენ, რომ იგივე განმეორდება ეხლა. უნდა იცოდენ, რომ თუ ძლევამოსილი ოსმალეთი იძულებული იყო დაეტოვებია მთელი ამიერ-კავკასია, ქემალის აჭრელებული, სახელდახელოთ შეკოწიწებულ რაზმებს ჩვენ ქვეყანას არავინ დაანებებს. აქ ერთ დღესაც ვერ გაჩერდებიან და მათი შემოსვლის შედეგი მთელი თავისი სიმძიმით დააწვებათ პირველ ყოვლისა მათ შემომყვანთ, მათ მიმდევართ და დამხმარე ქართველ მუსულმანებს. ჩვენ აი აქედან, ამ ტრიბუნიდან ვაფრთხილებთ მათ და მოუწოდებთ თავისი ერთგულებით დაიმსახურონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა და თავისუფლება. ამით ჩვენ მოგვეცემა საშუალება ბათომის ოლქში განვახორციელოთ დაპირებული რეფორმები, დავამყაროთ თანახმად ადგილობრივი ხალხის სურვილებისა ახალი ნორმალური მართველობა და მით შეძლება მივცეთ ამ ოლქს ყოველმხრივი განვითარებისა. ქემალისტების გამოჩენამ ეს მუშაობა შეაფერხა და იძულებული ვართ ოლქში საგანგებო წესები კვლავ დავტოვოთ და იქ სასტიკი წესიერება დავიცვათ. საქართველოს რესპუბლიკამ იცის ერთგულობის დაფასება, მაგრამ ორგულთ და მოღალატეთ შესაფერად გადაუხდის. მთავრობა ღებულობს ყოველნაირ ზომებს მთელს რესპუბლიკაში როგორც მოღალატეთა გამოსვლების თავშივე ჩასაკლავად, ისე გარეშე საფრთხის შესაფერად დასახვედრად.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთელი დემოკრატია განურჩევლად პარტიისა ამ დიდ საბედისწერო ბრძოლაში მას მხარს დაუჭერს და მისცემს შეძლებას მტერს მტრულად ძველებურად მამაცურად დაუხვდეს. ჩვენ არ ვიჭრებით სხვის საზღვრებში, ჩვენს თავს არ ვესხმით არავის, ჩვენ ვიცავთ მხოლოდ ჩვენს თავს, ჩვენს საზღვრებს, ჩვენს ქონებას, და ამ წმინდა და მართალ საქმეში ჩვენთან იქნება მთელი ჩვენი ხალხი, ჩვენ დაგვიჭერს მხარს მოწინავე კაცობრიობა. (მხურვალე ტაში).

მთავრობის განცხადების მოსმენის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა. ყველა ორატორები ერთხმათ აღნიშნავდენ მდგომარეობის სერიოზულობას და გამოსთქვამდენ რწმენას, რომ საქართველოს დემოკრატია ერთსულოვნათ ხმლით ხელში გამოვა სამშობლოს დასაცავათ, თუ მდგომარეობა გართულდა და მტერმა განიზრახა ჩვენი საზღვრების გადმოლახვა (ორატორების სიტყვებს დაწვრილებით შემდეგ მოვიყვანთ).

კამათის დასრულების შემდეგ წარმოდგენილ იქნა ორი რეზოლიუცია: ერთი სოც. რევოლიუციონერთა ფრაქციის მიერ, მეორე სოც. დემოკრატიული ფრაქციის მიერ. სოც. რევოლიუციონერთა რეზოლიუცია უარყოფილ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ, მიღებულ იქნა სოც. დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

რეზოლიუცია

მოისმინა რა მთავრობის განცხადება მეზობელ სომხეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს თავის ულრმეს თანაგრძნობას დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სომხის ერისადმი და იმედოვნებს, რომ ის გამარჯვებული გამოვა იმ ეროვნულ განსაცდელისაგან, რომელიც მას ემუქრება.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ თვით საქართველო არ არის უზრუნველყოფილი მსგავსი განსაცდელისაგან, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს ღრმა და მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ხალხი, როგორც ყოველთვის დღესაც ერთსულოვნად დაირაზმება დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავად.

ჩვენ გვწამს, რომ გაივლის საფრთხე და დამფუძნებელ კრებას საშუალება მიეცემა განაგრძოს ორგანიული მუშაობა შინაური ცხოვრების მოსაწყობად, როგორც ცენტრში ისე სამუსლიმანო საქართველოში, სადაც ადგილობრივი პირობების მიხედვით განხორციელებული იქნება მმართველობის დემოკრატიული წესი ავტონომიურ ნიადაგზე.

დამფუძნებელი კრება იწონებს რა მთავრობის მიერ თავდაცვისათვის მიღებულ ზომებს, ავალებს მას განაგრძოს დაწყებული სამზადისი, დარწმუნებული რომ რესპუბლიკის დაცვის საქმეში გაერთიანდება მთელი საქართველო, განურჩევლად სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა და მას მხარს დაუჭერს მთელი ევროპის დემოკრატია.

დამფუძნებელი კრება ავალებს თავის პრეზიდიუმს მიმართოს საქართველოს ხალხს შესაფერი მოწოდებით.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

ნოემბრის 6.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

შავრაზმელთა ყრილობას იწვევენ.

საფრანგეთის პრეზიდენტი მილიერანი წინადადებას აძლევს დეკემბერში პარიზში მოიწვიონ რუსის ყველა შავრაზმელ სოციალ-გამცემლების პარტიის ყრილობა, რომ გამოიმუშავონ გეგმა საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგოთ.

ახალი გენერალი.

ბალახოვიჩის ბრბოებთან ერთად დასავლეთის ფრონტებს ნეიტრალურ ხაზზე მოქმედებს გენ. პერამიკინის კონტრ-რევოლიუციონური ჯარი (იუდენიჩის ჯარის ყოფილი სარდალია); პერამიკინს ყავს 30,000 ჯარისკაცი, ეს ჯარი თავისთავს ვრანგელის მესამე არმიას უწოდებს. ამ ბრბოს ეხმარება საფრანგეთი. ბალახოვიჩის რაზმს უმთავრესად უჭერს მხარს პოლონეთი.

ლატვიის მთავრობა და რუსეთი.

საგ. საქ. კომისარმა ჩიჩერინმა ლატვიის მთავრობის მიმართ გაგზავნილ ნოტაში აღნიშნა, რომ ვრანგელის ჯარისათვის რუსის ოფიცრების მოგროვება უმეტეს ნაწილად ლატვიაში ხდებაო.

გერმანიის ნავთსადგურში მემელში ეხლახან მივიდა რიგიდან 200 რუსი ოფიცერი, რომელნიც ყირიმში მიდიან. ლატვიის საგ. საქ. მინისტრმა მეიროვიცმა თავის პასუხში აღნიშნა, რომ ლატვიის მთავრობამ ზომა მიიღო რუს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციის დასაშლელათ, მაგრამ ლატვიის დამფუძნებელი ყრილობის სხდომის დროს გამოაქვეყნეს მრავალი საბუთი და ფაქტები, რომლებიც ბრალს სდებდენ მთავრობას, რომ მან ხელი არ შეუშალა რუს თეთრგვარდიელებს.

ვრანგელის ჯარი შიშველია.

— ფრანგულ გაზ. „მატენის" სევასტოპოლში მყოფი კორესპოდენტი იუწყება, რომ ვრანგელის ჯარი შიშველი და მშიერია. თუ საფრანგეთი არ დაეხმარა, არმია აუცილებლად დაიშლება. ინგლისური გაზეთები ბეჭდავს შემაშფოთებელ დეპეშებს ვრანგელის ფრონტის მდგომარეობის შესახებ. ყირიმში საერთო მდგომარეობა კრიტიკულია. „დეილი ტელეგრაფის" კორესპოდენტი აღნიშნავს, რომ ვრანგელი იძულებულია დაიხიოს. რის გამოც ის რჩება უპუროთ, რადგან ხორბალი თავრიდის გუბერნიაშია.

მოქმედების გეგმა.

საფრანგეთის სოციალ. პარტიის ბიურომ და შრომის საერთო კონფერენციამ გამოიმუშავა მოქმედების გეგმა რუსეთის რევოლიუციის დასაცავათ. ამ მიზნით აპირებენ ნოემბერში მრავალ-რიცხოვან კრებების გამართვას მთელ მხარეში, და მოუწოდებენ საზოგადოებრივ პროტესტებით გაილაშქრონ საფრანგეთის ბოროტი პოლიტიკის წინააღმდეგ, მოუწოდებენ მუშათა სოლიდარობისაკენ, რათა ყოველგვარ ფაბრიკაციაზე და სამხედრო მასალის გადატანაზე უარი განაცხადონ.

ბონარ-ლოუს განცხადება.

რიგა 3 ნოემბ. ინგლისის პარლამენტში ბონარ ლოუმ განაცხადა, ინგლისის მთავრობა ფიქრობს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას, იმ პირობით, რომ ინგლისის ტყვეებს დაუყონებლივ გაანთავისუფლებენ.

რას სწერენ კომუნისტები?

მოსკოვი. 5 ნოემბ. „კომუნისტ. ტრუდი" სწერს: დასავლეთის რევოლიუციონური მოძრაობა ოპორტუნიზმისგან ვერ განთავისუფლდება სოგლაშატელების წყალობით. როდესაც დასავლეთის მუშები ხედავენ, რომ კაუცკი, რენოდელი და ვანდერველდე მიდიან ანტანტის აგენტებთან საქართველოში ბათომის მილიტარიზაციისთვის, როდესაც კრისპინი და დიტმანი უარყოფენ სოციალიზმს, რადგან ის ბურჟუაზიას მკაცრათ ეპყრობა, როდესაც მარტოვი აღშფოთებულია, რომ რუსმა მუშებმა შეურაცყვეს პოლონეთი, მაშინ დასავლეთის მუშებს არაფერი არ დარჩენია იმის მეტი, რომ გაექცენ ამ დამპალ თავს. დარჩენ რა უმასსოთ ეს ბელადები ფიქრობენ რაღაც ახალ ინტერნაციონალის შექმნას (სოც. გამცემლის ადლერის პროექტი), რასაკვირველია ადლერის ინტერნაციონალი ვერ მიიმხრობს მუშათა მასას, ეს უფრო იქნება ამ რენეგატთა ბელადების ინტერნაციონალი, რომელიც რევოლიუციის გვერდზე დარჩენ.

არეულობა ირლანდიაში.

ირლანდიაში არეულობის გაგრძელების გამო მთავრობა ადგენს 10 ათასი კაცისაგან საპოლიციო სპეციალურ კორპუსს, რომელიც წესრიგს დაიცავს. უკანასკნელ დღეებში სინფეინერები 14ჯერ დაესხნენ თავზე პოლიციელებს, მოკლულია 1 ოფიცერი 1 უნტეროფიცერი 4 პოლიციელი, დაჭრილია მძიმედ 13 პოლიციელი. ულსტერში მრავალი შენობაა დამწვარი და განადგურებული. დუბლინის ქუჩებში ისევ მოხდა არეულობა. ხალხი გარს შემოერტყა პოლიციელებს და მოკლა 1 კაცი.

შვეციის სოც.-დემოკ. პარტია და მესამე ინტერნაციონალი

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: შვეციის სოც.-დემ. პარტიაში უთანხმოებაა მოსკოვის პირობებისა და მესამე კომ. ინტერნაციონალში შესვლის საკითხის შესახებ. ავტორიტეტული წრეები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია პარტიაში განხეთქილება მოხდეს.

რა ხდება სპარსეთში.

სპარსეთის ბოლშევიკებმა დაამარცხა სპარსეთის ყაზახთა რაზმი, რომელიც ენზელიდან წინ მოიწევდა.

არეულობა სამხრეთ ინდოეთში.

სამხრეთ ინდოეთის არეულობა საშიშ სახეს ღებულობს. მცხოვრებლები რკინის გზებს აფეთქებენ. გაფიცულნი არიან ფოსტა-ტელეგრაფისა და მაღაზიებში მოსამსახურენი.

სამხედრო ცნობები.

4 ნოემ. პერეკოპის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჯანკოის მიმართულებით სალკოვში და გენიჩესკში შემოჭრილ მტერს ჩვენი ჯარი სდევნის. ჩვენებმა ნოემბრის 3 დაიკავეს სადგ. რიკოვი, ნოვოალექსეევკა და სალკოვო. ჩვენი ჯარი შეიჭრა ჩინგარის ნახევარკუნძულზე სადგ. ჯიმბულუკთან და ჩინგარის ჩრდილოეთით... (გამოტოვებულია).

კერზონის განცხადება.

თემთა პალატაში ლორდ კერზონმა განაცხადა: მოკავშირეთა კომისიას კონსტანტინოპოლში არასდროს არ გაუცია ბრძანება შავ ზღვაზე ბლოკადის დაწესებისა საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რაც შეეხება ოსმალთა ნაციონალისტებისათვის სამხედრო მასალის მოწოდებას, ხმელთა შუა ზღვის საზღვაო ძალების სარდალი ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რომ სამხედრო მასალა არავინ გაიტანოს.

ლიონის ცნობები

საფრანგეთი და ჩეხია.

საფრანგეთისა და ჩეხიას სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს ხუთშაბათს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლეიგმა და ვაჭრ. მინისტრმა ჩეხო სლოვაკიის სახელით ხელი მოაწერა ფილდინგერმა.

ოსმალეთში.

მოლაპარაკების დროს, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო იტალიის საფრანგეთის და ინგლისის მთავრობამ გადასწყდა, მოკავშირეთა სამხედრო კომისიის თავმჯდომარეთ ოსმალეთში იქნეს პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი პერიოდის დაახლოვებით ორი წლის განმავლობაში ბრიტანეთის ჯარის ოფიცერი. იგივე იქნება სარდალი მოკავშირეთა მთელი ჯარისა, რომელიც ხელშეკრულების თანახმად სრუტეების ზონაში დარჩება. მეორე მხრით ხელშეკრულება გულისხმობს ფინანსიური კომისიის დაარსებას ფრიად უფლებით. კომისიაში შევა 3 კაცი (ინგლისელი, ფრანგი და იტალიელი) და ერთიც ოტომანის სახელმწიფოს წარმომადგენელი სათათბირო ხმით. ეს კომისია დაამტკიცებს სესხის ბიუჯეტს და კონცესიებს და საერთოთ მას ხელთ ექნება ოსმალეთის მთელი რესურსები. მოკავშირე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საფრანგეთის წარმომადგენელი პირველი თავმჯდომარე იქნეს ამ კომისიაში. იტალიის წარმომადგენელი რკ. გზ. კომისიის თავმჯდომარე იქნება.

მუშაობის დაწყება.

იუწყებიან, რომ ინგლისის მაღაროებში მუშაობა უინცინდენტოთ დაიწყო.

ლიონის ცნობები

მარსელში კოლონიალური გამოფენა გაიხსნება 1922 წელს. ყველა ახალშენი სიამოვნებით გამოეხმაურა მოწოდებას. განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს ინდოჩინეთი. რომელმაც განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს მიაღწია როგორც ეკონომიური აგრეთვე სოციალური მხრივ.

გაფიცვა გრძელდება.

ხალამანკა. საერთო გაფიცვები გრძელდება უინცინდენტოთ. ბანკებს ჯარი იცავს.

საქ. დემ. საჯენტოს საინფორმაციო განყოფილება

ფროსარი რუსეთის შესახებ.

პარიზი „ჟურნალ დე დიბა“ მეთაურ წერილს უძღვნის ორლეანში მომხდარ სოციალისტურ კონგრესს, რომელიც ექსტრემისტების დამარცხებით დასრულდა. გაზეთის ცნობით კონგრესზე ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს ფროსარს, ფროსარი ბოლშევიკების ქებაში ძალიან თავდაჭერილი იყო. ფროსარმა აღნიშნა ბოლშევიკების დადებითი მხარეები და ისიც რომ რუს კომუნისტების მეთოდები ევროპისათვის მიუღებელია. ფროსარმა განაცხადა, შეგნებულად თავს ვიჭერ საბჭოთა წყობილების კრიტიკისაგან, რადგანაც ეს ხელს შეუწყობს მისი აზრით რეაქციას და ანტანტის მთავრობებს რუსეთის საწინააღმდეგო მასალას მისცემს. ვრცელი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე შრომის კონფედერაციის მდივანმა მერეიმმა მან, სხვათა შორის, დაახასიათა ლენინი და უწოდა მას თანამედროვე რევოლუციის ტვინი, ლენინსო—სთქვა ორატორმა ჯერ კიდევ 1918 წელს უწოდეს „წითელი მეფე“. ორატორს უაზრობათ მიაჩნია იმის მტკიცება, თითქოს, შესაძლებელი იყოს რუსეთში მტკიცე სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ცნობილია მცირე რიცხოვან და განვითარებულ მუშათა კლასით, სასოფლო მეურნეობაში მომუშავეს პროლეტარიატის უმეტესობით რომელიც მხოლოდ მიწების დაყოფაზე ოცნებობს. როდესაც ბოლშევიკებმა უთხრეს მუშებს ქარხნები თქვენ გეკუთვნითო, ამით მათ იმას მიაღწიეს, რომ ეს ტერმინი მუშებმა მეტად ვიწროთ გაიგეს. ბევრი შრომაა საჭირო, რომ მუშები მუშაობაზე აიძულოთ. რუსეთის ფაქტიური პატრონი სოციალისტური შეგნება კი არ არის, არამედ მილიტარიზმია. ორატორმა თავის სიტყვა ასეთი შეკითხვით დაასრულა: საფრანგეთის სოციალისტებს სურთ თუ არა, რომ საფრანგეთმაც იგივე განიცადოს, რაც რუსეთმა?

სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთ ინგლისს შორის.

ლონდონი ლონდონის პრესის ცნობით ინგლისის სავაჭრო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან განახლდება არა უადრეს 2 თვისა. „დეილი მეილის“ ცნობით სავაჭრო ხელშეკრულობის ყველა პუნქტში შეთანხმდნენ. რუსეთთან ვაჭრობა დღესაც ნებადართულია, მაგრამ ყოველგვარ დაბრკოლების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა მთავრობისაგან ოფიციალური ნებართვა. კრასინმა უკვე შეიტანა 100 მილიონი ფრანკი ოქროთი.

მდგომარეობა ისპანიაში.

ციურიხი. ციურიხის ახალ გაზეთის ცნობით ისპანიაში უკანასკნელად მომხდარ არეულობებმა მდგომარეობა მეტად შეარყია. მუშების გამოსვლა ანარქიულ ხასიათს ღებულობს. ეს მოძრაობა რომელიც პირველად ბარსელონში დაიწყო შემდეგ სარაგოსს, მადრიდს, ვალენსიისა და ვილბაოშიც გავრცელდა. შესდგა ორი დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მუშათა და შრომის კავშირი. შრომის კავშირი მუშათა მასსას ინტელიგენციისა და პარლამენტის წინააღმდეგ აღელვების და ძალდატანებით გადატრიალებისაკენ მოუწოდებს.

ოსმალთა თავდასხმა სომხეთზე

საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიურ მისიის ოფიციალური ცნობა. 6 ნოემბერი:

— 5 ნოემბერს ოსმალები, მრავალრიცხოვან ძალებით უტევდნენ ალექსანდროპოლის მიდამოებს, მაგრამ უკუქცეულ იქნენ.

— დამატებითი ცნობებით ირკვევა, რომ 5 ნოემბერს თურქების ჯარებმა, რომლებსაც აგაბის თათრები ეხმარებოდნენ, სამჯერ სცადეს შეტევაზე გადასვლა ალექსანდროპოლის მიდამოებში, მაგრამ სამივეჯერ უკუქცეულ იქნენ. სომხეთის ჯარებმა დაიჭირეს სადგური ყიზილ-ჩახჩახი.

— იმ რაიონში, სადაც ბრძოლები სწარმოებს, დიდი თოვლია. ბრძოლა რკინის გზის ხაზის გასწვრივ სწარმოებს,—ამ ხაზის ჩრდილოეთით და სამხრეთით.

ახალი ამბები

ნავთი. სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროს დადგენილებით მუშათა მაგიდას ნოემბრის განმავლობაში მიეცემა 35,000 ფ. ნავთი ქალაქ ტფილისის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის და 25,000 ფ. პროვინციის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც მუშათა მაგიდის მიერ არიან სიებში შეტანილი ყველა მუშის და მოსამსახურის ოჯახს მთელს რესპუბლიკაში მიეცემა თითო ფუთი ნავთი.

◆ **გ. კაციაშ** ახალციხიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „აღსანიშნავად თქვენი საქართველოში ჩამოსვლისა და დაბადებიდან 66 წლის შესრულებისა ერობის გამგეობამ დაადგინა დააწესოს თქვენს სახელზე ერთი სტიპენდია. გიძღვნით გულწრფელ სალამს, ძვირფასო მასწავლებელო. ახალციხის მაზრის ერობის გამგეობა.

◆ **ტყიბულის ნახშირი.** ინჟინერმა ბაცაძემ მოახდინა ცდა ქალაქის ტრამვაის ელექტრონის სადგურის ორთქლის ქვაბების ტყიბულის ქვანახშირით გათბობისა. ცდამ მშვენიერი შედეგები მისცა. ორთქლის ქვაბების ნაწილს უკვე ტყიბულის ქვანახშირით ათბობენ.

◆ **კოოპერატიული ცხოვრება.** საქართველოს კოოპერატიულმა ბანკმა თავის შემოსავალ გასავლის ანგარიში შეადგინა. ბალანსი უდრის 62,841,120 მან. გასულ თვეში ბალანსმა სექტემბერთან შედარებით 17 მილ. და 744,869 მან. მოიმატა.

◆ **ქართულ ფრანგულ სავაჭრო პალატაში.** ოთხშაბათს, ნოემბრის 3-ს ქართულ ფრანგულ სავაჭრო პალატის შენობაში საფრანგეთის ვაჭრობა და მრეწველობის წარმომადგენლებთან ერთად პალატის წევრთა გაერთიანებული თათბირი შესდგა. თათბირს სხვათა შორის დაესწრნენ: რუბო, ლორანი, ბუსკეროლი, ვერმერი, და სხვები. თათბირი დიდხანს გაგრძელდა და საკითხების განხილვა შემდეგი სხდომისათვის გადაიდვა საქართველოს და საფრანგეთის ვაჭრობა-მრეწველობის წრეების დასაახლოვებლად გადაწყვეტილია მოეწყოს ყოველ კვირაში ოთხშაბათობით სხდომები, რომლებზედაც გარჩეულ იქნება ის საკითხები, რომლებიც საქართველოს და საფრანგეთის შორის სავაჭრო დამოკიდებულებას შეეხება. განზრახულია ამ თათბირზე მოიწვიონ საქართველოს სავაჭრო წრეების გამოჩენილი წარმომადგენლები.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შეიმუშავა ცნობა აგვისტოს განმავლობაში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებიდან შემოსულ ფულისა. რესპუბლიკის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის შემოსავალი აგვისტოს განმავლობაში უდრიდა 9,905,022 მან. საფოსტო ოპერაციებიდან შემოვიდა 3,182,417 მ., სატელეგრაფო ოპერაციებიდან 4,712,831 მ. ამას გარდა ნისიათ, გაგზავნილია დეპეშები 700,000,656 მ. ტელეფონის შემოსავალი 2 მილიონ მანეთზე მეტს უდრიდა.

◆ **შტაბი სახალხო გვარდიის ვოგზალის (ტრამვაის) რაიონისა** ამით აცხადებს აწ. სახალხო გვარდიელთა საყურადღებოთ, რომ დანიშნული საერთო ვარჯიშობა ორშაბათს 8 ნოემბერს არას შემთხვევაში არ გადაიდება, და ამიტომაც ევალება ყველა გვარდიელებს აუცილებლათ გამოცხადდენ შტაბში დილის 8 ს. 8 ნოემ. ბ თანვე უნდა იქონიონ მთელი სამხედრო მოწყობილობანი საჭურველებით.

◆ **მსხვილი ქურდობა.** 30 ოქტომბერს თფილისის საქონლის სადგურის საწყობიდან ყალბ საბუთებით ბოროტმოქმედთა მიერ იქმნა წაღებული 25 მილიონამდე ღირებული სამანუფაქტურო საქონელი წონით 143 ფუთი. აღნიშნულ საქმეზე კვლევა-ძიების წარმოება მიენდო რესპუბლიკის რკინის გზების მილიციის უფროსის თანაშემწეს მოქალაქე ქრელაშვილს და თფილისის რაიონის მილიციის უფროსს მოქალაქე შარაშენიძეს, რომელთა საშვალებით შეპყრობილ იქმნა ბოროტ მოქმედნი, რომელნიც დანაშაულში გამოტყდნენ და აღიარეს, რომ მათ მეთაურობდა სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის წევრი ყოფილი ოფიცერი პავლე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე. ნაქურდალი ფართალი გაეყიდათ მევაჭრე ებრაელებზე ოთხ მილიონ მანეთად, ფართალის ნაწილი რკინის გზის მილიციამ აღმოაჩინა თათრის მოედანზე.

◆ **შეცდომების გასწორება.** გუშინდელ ნომერში, „ისევ ჭიათურის შავქვაზე“, შემდეგი შეცდომებია: მესამე გვერდზე წერილის პირველ სვეტში სწერია—„გემი ერთ ერთი **ფორტიდან** გამოვიდა“. უნდა იყოს **პორტიდან**; იქვე ქვეშით დაბეჭდილია—„ხოლო 1909 წ. საქმე იქამდე მივიდა“. უნდა იყოს 1899 წ.; მეოთხე გვერდზე, წერილის მეორე სვეტში დაბეჭდილია—„და **იზრდებოდა** არა მარტო დაბალ ღირსების“ უნდა იყოს **იზიდებოდა**; იქვე ქვემოდ დაბეჭდილია. „არ უნდა ვცდილობდეთ მარგანეცი მაინცა და მაინც 40 პროცენტიანათ ვაგზავნოთ“. უნდა იყოს **48 პროცენტიანათ**.

◆ **გაზეთების შეწყვეტა** რადგანაც ფული არ გამოგზავნეს ორშაბათიდან გაზეთები არ გაეგზავნება: საჭამისეურს, ქობულეთს და თელავს. გაზეთები შეუწყდებათ სხვებსაც. კანტორა „განათლება“.

კრებები.

დღეს, დღის 12 საათზე, ქალთა მე-7 გიმნაზიაში დანიშნულია საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სხდომა. განსახილველია უმთავრესად დელეგატთა ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები. ყველა წევრები ვალდებულია დაესწროს.

— ორშაბათს 8 ნოემბერს საღ. სრულ 6 ს. შესდგება ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის კრება.

— დღეს დილის 10 ს. ამხ. პ. საყვარელიძე წაიკითხავს მეორე მოხსენებას საკონსტიტუციო უფლებიდან. მოხსენების შემდეგ გაიმართება საუბარი და კამათი. დაესწრება შეუძლია ყველა მიმართულების სტუდენტებს.

— დღეს 12 ს. დანიშნულია ს.-დ. სტუდენტთა ფილოსოფიურ წრის კრება.

— დღეს, საღამოს 5 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში, შესდგება სხდომა ცენტრალურ სოციალურ დახმარების საზოგადოების რწმუნებულთა საბჭოსი. დღის წესრიგი: 1) საზოგადოების ორგანიზაციის ტიპი, (კერძო, მუნიციპალური, სახელმწიფოებრივი), 2) საზოგადოების წესდება, 3) ხარჯთ-აღრიცხვა.

— დღეს, $12^1/_2$ ს. შესდგება სოც.-დემ. სტუდენტთა პოლიტ. ეკონომიის საფუძვლების შემსწავლელ წრის კრება.

— ორშაბათს, 8 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაგრძელებული იქნება სოც.-დემ. ეკონომიურ წრეში „კაპიტალის“ კითხვა.

— დღეს, დილის 10 საათზე ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ავლაბრის მუშათა კლუბის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია წლიური შემოსავალ გასავლის აღრიცხვა და გამგეობის რეორგანიზაცია. კრების გახსნამდის გაიმართება უფასო ლექცია, მისასალმებელი სიტყვები. ამ დღიდან უნივერსიტეტში დაიწყება სისტემატიურად ლექციების კითხვა კვირაში ერთხელ ქართულად, და სომხურად. ლექციები იქნება უფასო.

— დღეს, დილის 9 საათზე კავშირის ბინაზე (მუშათა სასახლე ოთახი №№ 44 და 45) დანიშნულია თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა საერთო კრება. თუ აღნიშნულ დროსათვის წევრთა სიმცირის გამო კრება არ შესდგა, მეორე კრება დანიშნულია იმავე დღის დილის 10 საათისათვის და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

დღიური წესრიგი: 1) საკითხი მშვიდობიანი ეკონომიური გაფიცვის შესახებ, 2) მიმდინარე საკითხები.

ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ.

პირველი თოვლი

მე ძლიერ მიყვარს, მე ისე მიყვარს
პირველი თოვლის პირველი ცვენა,
ვით გამოპარულს ვინმე ნაცინარს
დანატრებულ ცოლში ლის ხვევნა!

თოვლი! მიხარიან! ოჰ, მიხარიან!—
ბედნიერებით მივსება გული!
ტკბილ მოგონებით ჩემთან არიან;
ჩემი ბავშობა, ჩემი წარსული!

4 ნოემბერი,
1920 წ.

მაცდური თვალები

შენს თვალებში ვნების ზღვა სცემს,
შენს თვალებში კაკაშებს;
შიგ იტყუებ მიჯნურთა გემს,
შიგ ზვირთებზე ათამაშებს.

ათამაშებ, და შიგ მსხვერპლთ კი
გაგიჟებით იკრავ გულში;
ქინს ისევ და შემდეგ ჰლუპავ
მსხვერპლით სავსე ზღვის უფსკრულში.

ვ. ქუჩიშვილი.

4 ნოემბერი,
1920 წ.

ღია წერილი „სახალხო საქმის“ რედაქციას

ჩემთან კამათის დროს თქვენ ხშირათ ხმარობთ ისეთ სიტყვებს და ფრაზებს, რომლებიც სრულიად დაუშვებელია, მაგრამ, დღემდის კამათი ასე თუ ისე მაინც ლიტერატურულ ფარგლებს არ სცილდებოდა. უკანასკნელ ნომერში კი (№ 971) ამირაჯიბის საქმის გარშემო ატეხილ საკამათო წერილში, სხვათა შორის, ჩემს შესახებ სწერია: „**დეზერტირების მფარველი განი**“.

რადგანაც ეს ყოვლად უპატიოსნო ცილისწამებაა—წინადადებას გაძლევთ ან წაიღოთ უკან ეს ფრაზა, ან იკისროთ პასუხისმგებლობა სამედიატორო სამართალში.

განი.

ნანგრევებზე.

I.

გაიზუზუნა ქარტეხილმა და ჩინჩვარივით მისრესა იწყეს საუკუნეთა განმავლობაში გაკერპებულმა ქურუმებმა; ხუწულებივით დ ფუშვა იწყეს უამრავ დინასტიათა ცოდვებით დამძიმებულმა ტახტებმა.

სიკვდილის გვირაბში არარაობის მტვერით იმარხებოდა დაფშვნილი სამეფო ტახტები და მე ვნახე კაცი, რომელიც განწირვით შესჭყუროდა ამ რღვევას...

— ვილაზე ვილოცოთ, ვის უყუროთ თვალ-წარბში, ვის წინაშე ვთრთოდეთ ქედ-მოხრილნი, ვიდრე ელირსება დაცალიერებულ ტახტის დაჭერასო—სჩიოდა გულ ამოსკვნილი ქვითინით...

ვერ წარმოედგინა ქვეყანა უკერპოდ... უკვირდა: რისათვის ანათებს მზე, ვისთვის ჰგალობენ ფრთოსნებიო... რაკი ვერ მიიღო პასუხი—განწირვით განერთხო მიწაზე და მონობის შვილმა გლოვით დალია ჯახირი სული.

II

გაიპრიალა ცეცხლმა და გადაბუგვა უწყო კაცთა უმრავ ცრემლებით ნაჟრალებად გადაქცეულს მსოფლიოს...

ნაცარტუტდებოდა დახავსებული ქვეყანა. ნიტისუსალი ეკიდებოდა ძლიერთა უფლების განმამტკიცებელ შავ სიგელ-გუჯრებს და მე ვნახე კაცი, რომელიც თავში ხელების ცემით დაძრწოდა, ბუწუწებს იბღლნიდა და ეძებდა ლოდს, ხეოპსის პირამიდაზე უდიადესს, ეძებდა ლოდს, რომ ის მაინც დაედგა ძეგლად და დავიწყებისაგან ეხსნა გარდასრული ქვეყანა...

ჰკვდებოდა იგი, ჰკვდებოდა ელდისაგან ეს უკანასკნელი ყურმოჭრილი მონა დუშმან მეფეთა და იმას მოსთქვამდა, რომ ვერა ჰპოვა ძე ხორციელი, რომელიც დაიტირებდა ძველს ქვეყანას და საუკუნოდ დაუხუჭავდა სისხლით ამღვრეულს ბაყაყა თვალებს.....

დ. თურდოსპირელი.

უცხოეთი

ინგლისი.

კომუნისტების გამორიცხვა მუშათა პარტიიდან.

ბრიტანეთის მუშათა პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაუგზავნა ადგილობრივ ორგანიზაციებს ცირკულიარი, რომლის ძალითაც უნდა გამორიცხულ იქნენ ორგანიზაციიდან კომუნისტი წევრები.

ავსტრია

სახელმწიფო ფინანსები

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, 29 სექტემბერს ფინანსთა მინისტრმა დოქტორმა ვირტმა მოიყვანა შემდეგი ცნობები გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. ჩვეულებრივი ხარჯები შეადგენენ 30 მილიარდს განსაკუთრებულ ხარჯებთან ერთად მიაღწევს 39,7 მილიარდს რაც გერმანიას მისცემს 37 მილიარდ დეფიციტს, რადგან შემოსავალი უდრის 2 მილიარდს დეფიციტი სახელმწიფო რკინის გზების ექსპლოატაციაზე აღემატება 16 მილიარდს ხოლო ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაზე უდრის—2 მილიარდს.

თუ ყოველივე საშუალებას ხმარებით მიზნეული იქნებოდა ჩვეულებრივი ბიუჯეტის წონასწორობა—მაშინ მაინც დარჩებოდა დეფიციტი ფოსტის და რკინის გზების ჩვეულებრივი ბიუჯეტის დაუფარავ ხარჯებისა 55,7 მილიარდის რაოდენობით.

საერთო ჯამი ზარალის ასანაზღაურებელ მოთხოვნილება შეადგენს 131 მილიარდს. ამას ურთდება მთელი მილიარდობით ხარჯები, საზავო ხელშეკრულებით განსაზღვრული.

„ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს დაათავა მინისტრმა—როს ზრდა მიმდინარე ვალისა და მასთან დაკავშირებულ ქაღალდის ტრიალისა—შეიძლება მივამგზავსოთ თოვლის ზვავის ზრდას“.

შრომის სამინისტროში

შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტს ქალაქ თფილისის მუშებისა და მოსამსახურეების დაჯილდოების შესახებ შემდეგი დებულება უდევს საფუძვლად: 1. ჯილდო მიეცემათ: ა) შრომის ნაყოფიერებისათვის, ბ) მრეწველობისათვის საჭირო მასალისა და იარაღის მომჭირნეობისათვის. გ) უვარგისის საქონლის რაოდენობის შემცირებისათვის; 2) შრომის ჯილდოსნობა შემუშავებულ იქნება პროფ. კავშირებთან შეთანხმებით. 3) შრომის ჯილდო სატარიფო პალატის მიერ შემუშავებულ ხელფასის ან ჯამაგირის 200% არ უნდა აღემატებოდეს.

— შრომის სამინისტროს ამ პროექტის განსახილველად მოწვეულ იქმნა განსაკუთრებული თათბირი სხვადასხვა სამრეწველოების მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირმა საჭიროდ სცნო შრომის დაჯილდოების პროექტის სასწრაფოთ განხორციელება. შრომის დაჯილდოვება გატარდება შემდეგ სამრეწველოებში ა. სატრანსპორტო საზოგადოების ლითონის ქარხნებში. ბ. ელექტრონის მრეწველობაში, ხე-ტყის სახერხ ქარხნებში, ადელხანოვის ქარხანაში და სხვაგან. თათბირმა შესაძლებლად სცნო მუშა ძალის ეკონომიისათვის ჯილდოს შემოღება მელითონე, ელექტრონზე, ბეჭდვით საქმესა და გარაჟებში მომუშავე კვალიფიცირებულ მუშათათვის. საწარმოო იარაღებისა და მასალის ეკონომიისათვის და უვარგისი საქონლის რაოდენობის შემცირებისათვის ჯილდოს შემოღება თათბირმა შესაძლებლად სცნო მრეწველობის ყველა დარგში. (სდს).

სახელმწ. უნივერსიტეტში

პარასკევს 29 ოქტომბერს შესდგა სოციალ-დემოკრატ და თანამგრძნობ სტუდენტთა საერთო კრება. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ბ. კვატაშიძე. დღის წესრიგში იყო: 1) მეცადინეობის გეგმა, 2) პარტიის წევრთა და თანამგრძნობ სტუდენტთა რეგისტრაცია.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. იოსელიანი, რომელიც აცნობს კრებას ხელმძღვანელ ბიუროს მიერ შემუშავებულ გეგმას პარტიული მეცადინეობის შესახებ. გეგმა მცირე კამათის შემდეგ იქნა მიღებული მთლიანად.

გეგმის თანახმად არსდება 3 წრე: ეკონომიური, ფილოსოფიური და ეგ. წ. საკონსტიტუციო. (რომელიც შემდეგ შეიძლება გადიქცეს იურიდიულ მეცნიერებათა შემსწავლელ წრეთ. თვითეული წრე შედგება იმ ამხანაგებისაგან, რომელნიც მუდმივ, სისტემატიურად იმეცადინებენ, და ისინი ითვლებიან წრის წევრებად (მსურველი უნდა ჩაეწერონ წრის ხელმძღვანელთან, ან ბიუროს მდივანთან). ხოლო წრეების მეცადინეობას შეუძლია დაესწროს ყოველ ამხანაგს. ეკონომიურ წრეში განზრახულია „კაპიტალის“ შესწავლა, ხოლო საკონსტიტუციოში, საკონსტიტუციო უფლების შესწავლა საერთოდ და კერძოდ საქართველოს კონსტიტუციის პროექტის გაცნობა და შესწავლა. უკანასკნელ წრეში მოხსენებებს წაიკითხავს ამხ. პ. საყვარელიძე და ყოველ მოხსენების შემდეგ გაიმართება მსჯელობა ყველა საგულისხმო დებულების თუ მუხლის შესახებ.

საბოლოო სისტემას მეცადინეობისას შეიმუშავებს თვითეული წრე. წრეების მუშაობისაგან დამოუკიდებლივ (იმავე გეგმის თანახმად) გაიმართება ცალკე მოხსენებები პარტიულ თუ საჯარო კრებებზე. თვითეული წევრი სოც.-დემ. სტუდენტთა ორგანიზაციისა ვალდებულია ერთი მოხსენება მაინც წაიკითხოს, ხოლო თემის არჩევაში ის სრულებით თავისუფალია. თვითეული ვალდებულია ამ მოკლე ხანში აცნობოს ბიუროს თემა განზრახული მოხსენებისა და დრო, როდესაც მას შეუძლია დაახლოვებით მისი წაკითხვა. ამ მოხსენებების შემდეგ გაიმართება კამათი, რომელიმე უფროსი ამხანაგის ხელმძღვანელობით.

გეგმის მიღების შემდეგ კრებამ დანიშნა თვითეული წრის პირველი კრების დღე. საკონსტიტუციოსი—კვირა 31 ოქტ. დილის 10 საათ., ეკონომიურის კვირა 12 საათისთვის, ფილოსოფიურის სამშაბათი საღამოს 5 საათ.

პირველ რეგისტრაციის შესახებ მიღებულ იქნა ხელმძღვანელ ბიუროს წინადადება, რომლის თანახმად ყოველი სოც.-დემოკრატი სტუდენტი ვალდებულია შეავსოს ბიუროსთან არსებული საანკეტო ფურცლები (მათი შევსება შეუძლიათ თანამგრძნობ სტუდენტებსაც).

რეგისტრაციის დასაჩქარებლად არჩეულ იქმნენ ფაკულტეტების წარმომადგენლები, რომლებთანაც უნდა მოხდეს ხსენებული რეგისტრაცია იმ ფურცლების შევსებით, რომელნიც მათ დაურიგდებათ.

არჩეულნი არიან: სიექიმო ფაკულტეტიდან—ამხ. შათირიშვილი; აგრონომიულ ფაკულტეტიდან ამხ. სამყურაშვილი, მათემატიკურიდან—ამხ. ცაბაძე, სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების დარგიდან—ამხ. უშვერიძე; ისტორიულ დარგიდან—ამხ. ძიძისტარიშვილი; ეკონომიურიდან—ამხ. ს. გვასალია. საანკეტო ფურცლების მიღება და რეგისტრაცია შეიძლება აგრეთვე ბიუროს მდივანთან—ამხ. გ. ხოფერიასთან.

კვირას, 31 ოქტომბერს შესდგა საკონსტიტუციო წრის წევრთა კრება. ამ კრებაზე ამხ პ. საყვარელიძემ წაიკითხა პირველი მოხსენება საკონსტიტუციო უფლებიდან. მოხსენების შემდეგ გაიმართა საუბარი ზოგიერთი დებულებათა და მუხლების გარშემო. საქართველოს კონსტიტუციის შესწავლის დროს ყველა მოპირდაპირე აზრთა შეჯახების საჭიროების გამო, სასურველად იქნა ცნობილი, რომ მოხსენებებზე დასწრების უფლება ჰქონდეს ყოველ სტუდენტს განურჩევლად მიმართულების.

წრის ხელმძღვანელებათ არჩეულ იქნენ ამხ. ფირცხალავა და ამხ. ქ. ცომაკურიძე, რომელთაც მიენდო მოხსენებათა თეზისების რამდენიმე ცალად დაბეჭდვა. ამ წრის მეცადინეობის მუდმივ დროთ მიღებულ იქნა კვირა დილის სრული 10 საათი.

ამავე დღეს ნაშუადღევის 1 საათზე შესდგა ეკონომიური წრის კრება. ხელმძღვანელებად არჩეულ იქნენ ამხ-ბი დოლიძე და პ. ფირცხალაიშვილი. გადაწყდა კაპიტალის შესწავლა შემდეგი წესით: წრე თავის კრებებზე კითხულობს „კაპიტალს“ რუსულ თარგმანს და წაკითხვის დროს მას ყოველმხრივ არჩევენ. თვითეული თავის წაკითხვის შემდეგ გაიმართება ფართო მოხსენება, რომლის შემდეგ გაიმართება კამათი მარქსის იმ თავის ინტერპრეტაცია და კრიტიკის გარშემო. ასეთ მოხსენებას დაესწრება აგრეთვე საგანგებო მოწვევით რომელიმე უფროსი ამხანაგი.

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს წრემ დაიწყო უკვე „კაპიტალის“ კითხვა. წაკითხულის მოკლე შინაარსისთვის გაცნობა და შემდეგის წაკითხვა მოხდება ორშაბათს 6 საათზე, რომელი დროც იქნება ყოველთვის ამ მუშაობისთვის მიკუთვნებული.

ეკონომიურ წრემ დაინახა აგრეთვე საჭიროდ ახალი სამეცადინო წრის დაარსება, რომლის მიზანი იქნება პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლების შესწავლა. ამ წრეში ჯერ ჩაეწერა 6 ამხანაგი და ჩაწერა შეიძლება ბიუროს მდივანთან.

ახალი წრის პირველი კრება მოხდება კვირას საკონსტიტუციო წრის მეცადინეობის შემდეგ.

ფილოსოფიურ წრეში მეცადინეობის გეგმის შესამუშავებლად და სამეცადინო დროის ასარჩევად შედგება კრება კვირას 7 ნოემბერს დღის $12^1/_2$ საათზე. ამ წრეში მუშაობის მსურველნი ვალდებულნი არიან დაესწრონ ამ კრებას.

წრეებში მუშაობის გარდა უკვე მზათ არის მოხსენება „დემოკრატია და დიქტატურაზე“. მოხსენების დღე ცალკე გამოცხადდება.

სოც.-დემ. სტუდენტთა ხელმძღვანელი ბიუროს **მდივანი.**

სამხედრო სამინისტროში

1-ლ ნოემბერს სამხ. სამინისტროში სამხ. მინისტრის ამხანაგის ნებართვით დანიშნულ გენერალ ქ—ის თავმჯდომარეობით შესდგა მეორე სამხ. სამინ. ოფიცერთა და მოხელეთა საერთო კრება საზამთრო სურსათ-სანოვაგის მოსამარაგებლათ და ამის საშუალების გამოსაძებნათ. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ოფიცრობა-მოხელენი სურსათის მხრივ გაჭირვებას განიცდიან: დაკანონებული უფასო ულუფა, რასაც უნდა თავის დროზე იძლეოდენ—არ არის მოგვარებული. ნავთი ჯერაც არ მიუღიათ, საპონს, ხახვს და სხვას ნაკლებათ იძლევიან. ასე, რომ არავითარი წესი ულუფის დარიგებაში არ არსებობს. წინასწარ კრებაზე არჩეულ იქმნა სამი პირისაგან კომისია, რომელსაც უნდა წარმოედგინა კრებისთვის თავისი მოხსენება. კომისიას შესაძლოთ მიაჩნია სურსათის შეძენა, და რაც შეიძლება ეს დაჩქარებით უნდა მოხდეს, ვინაიდან ფასი ყველაფერზე დღითიდღე იზრდება. ამისთვის კი საჭიროა ენერგიული მუშაობა და, რაც თავში დაჰყავს თავი,—თანხა.

უნდა ავიღოთ სესხი არა ნაკლებ 4 მილიონისა. ამ სესხს ოფიცრობა გადაიხდის ყოველ თვე ჯამაგირიდან, მაგალითად 5—6 თვის განმავლობაში.

სესხის აღების საკითხი კრებამ დაავალა თავმჯდომარეს. არჩეულ იქნა მუდმივი კომისია, რომელიც შეიძენს სურსათ-სანოვაგეს პროვინციაში და, რაც უფრო საჭიროა, სასტიკ თვალყურს ადევნებს, რომ ოფიცრობა-მოხელეებს თავის დროზე უკლებლივ ურიგდებოდეს ულუფა, და ირკვევდეს. შესაფერი ზომების მიღებით, ულუფის მიუცემლობის მიზეზს, რომ ბოროტებას ადგილი არა ჰქონდეს.

სხვათა შორის ამ კრებაზე გამოირკვა, რომ ყოფილ გენერალ მ—სთვის ვილაცას „პოდრიაჩიკობა“ მიუნდვია, თუ თითონ დაუწყვია, სამხ. სამინისტროს უმწყობრო გუნდისთვის სანოვაგის (კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო და სხ.) მოტანა. მიუციათ უფასოთ მისვლა-მოსვლისთვის ლიტერი, მიუციათ შესაფერი დოკუმენტი, რომ გამოიტანოს პროვინციიდან სანოვაგე, და ფუთ კომბოსტოს აძლევს 220—240 მ. ამის გაგონებაზე ერთ ერთმა ოფიცერმა ველარ მოითმინა და გაკვირვებულმა სერიოზულათ წარმოსთქვა: თქვე კაი კაცებო, თუ ფუთ კომბოსტოს 230 მ. გაძლევთ და ასე ზარალობთ, ამ ფუთში მე გიშოვნით ფუთ კომბოსტოს 160 მ. რამდენიც გინდათო. პასუხი არავინ გასცა თავმჯდომარე თითონ გაოცდა: როგორ თუ 230 მან. გვაძლევს ფუთ კომბოსტოს, როცა მე 200 მ. დავითანხმეო და სხვა.

რაც შეეხება სესხის აღებას, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სათანადო ორგანო სამინისტროები დახმარებას გაგვიწევენ, როგორც სესხის აღებაში, აგრეთვე სხვა საჭირო ქაღალდების მიცემით პროვინციიდან სურსათის წამოღებაში და ამრიგად შეამსუბუქებენ ოფიცერ-მოხელეთა ეკონომიურ გაჭირვებას. ვესურვებთ, რომ კომისიას გამართლებინოს ამრჩეველთა ნდობა და ენერგიული მუშაობით მოეგვარებინოს დაკისრებული საქმე.

ძე.

დრამატიულ საზოგადოების კრება

ნოემბრის 4 მოწვეულ იქნა არაჩვეულებრივი კრება დრამატიულ საზოგადოებისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ივ. გომართელი. კრებას დაესწრო, განათლების მინისტრის ამხანაგი ცინცაძე, დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი პ. საყვარელიძე და სხვანი. კრებამ სხვა საკითხთა შორის, იქონია მსჯელობა დ. ზ. სარაჯიშვილის ანდერძის შესახებ. აირჩია ორი წევრი ილ. ალლაძე და ს. ახვლედიანი. დაავალა, დაუყონებლივ ყოველის მხრით გამოარკვიონ ანდერძის საქმე და ამ ახლო მომავალში კრებას წარუდგინონ.

X.

ს.-დ. პარტიაში

გორი. 10 ოქტომბერს, გორში, შესდგა გორის სამაზრო კომიტეტის მორიგი სხდომა.

კრებას დაესწრნენ გორის მოწინავე ამხანაგებიც.

დღის წესრიგში იყო: 1) ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება, 2) მოხსენებები ადგილებიდან, 3) გვარდიის საოლქო შტაბში ასარჩევ კანდიდატთა დასახელება—დამტკიცება და 4) მიმდინარე საკითხები.

ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. ქვათაძე, მან აღნიშნა, რომ ბიუროს მძიმე პირობებში უხდება მუშაობა. არჩევნები ახლოვდება და ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გვებრძვიან ათასი ინსინუაციებით.

პროვინციაში ორგანიზაციები ახალგაზრდაა. ისინი ღირსეულათ ვერ შესძლებენ იბრძოლონ დამოუკიდებლათ, სრულის თავის ინიციატივით მოწინააღმდეგეთ. საჭირო ხდება მათი ყოველდღიური ხელმძღვანელობა. ჩვენს ორგანიზაციებს მძიმე პირობებში აყენებს ძალების უქონლობა. გვაკლია ხელმძღვანელები, ფული.

არა ჰყავთ წერა კითხვის მცოდნენი, რომ გაზეთები მაინც უკითხონ პარტიის წევრებს. ორგანიზაციები თუმცა ჩამოყალიბებულია, არის სისტემა, წესრიგი, მაგრამ თვით მათი მუშაობა იდეიურის შინაარსით მეტათ უმნიშვნელო და ღარიბია. საჭიროა უდიდესი ძალის მოკრება, რომ იდეიური მუშაობა შესძლების კვალად მაინც მოეწყოს, საჭიროა პროპაგანდისტთა რიცხვის გადიდება.

მიუხედავათ ასეთი სიძნელისა ბიურომ შესძლო მიმდინარე თვის განმავლობაში ეზრუნა ოსებში მუშაობის გაძლიერებისათვის; ჩაექრო დამღუპველი უთანხმოებანი ზოგიერთ ადგილებში; მოწინააღმდეგეთაგან დაწყებულ კამპანიებისათვის მაზრაში გაეცა სათანადო პასუხი და დახმარებოდა ადგილობრივ ორგანიზაციებს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში; გაეგზავნა სხვადასხვა დროს პარტიულ კრებებზე ამხანაგები; გაეცა პასუხები მომართვებზე; გაემშვენიერებინა ბიუროს ბინა; დაედგა წარმოდგენა კასის გასაძლიერებლათ და სხვა.....

მოხსენება ბიუროს მოქმედების შესახებ კომიტეტმა მოისმინა და ბიუროს მუშაობის ნაყოფიერება დაადასტურა.

მოხსენებებმა ადგილებიდან გამოარკვია, რომ **ცხინვალის** რაიონში ოსების აჯანყებას ორგანიზაციის მუშაობისთვის ხელი შეუშლია, ხოლო ეხლა გამოკეთებულა; **დიცში** რეორგანიზაციის შემდეგ უკეთ მუშაობს; **ხაშურში** მუშაობა სწარმოებს ჩვეულებრივზე უკეთ, მიუქცევიათ თემში ორგანიზაციების დაარსებისათვის ყურადღება; **ბორჯომში** ბევრ ადგილას დაარსებულა ახალი საუბნო ორგანიზაციები, იმართება კრებები, მხოლოდ პარტიული მუშაობის სრულიად ფრთის გაშლას ბორჯომში ხელს უშლის ამ ხეობაში ხეზე მომუშავე გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანდელთან შედარებით; ახალქალაქში ხდება თურმე პროვოკაციული გამოსვლები რეაქციონურ ფეოდალთაგან, ამ გარემოებას პარტიული მუშაობა უფრო გამოუცოცხლებია და შესდგომიან საუბნო ორგანიზაციების მოწყობას თანახმად პროპაგანდისტის ქვათაძის ჩვენებისა. საერთოდ ფეოდალების იერიშებს ერთსულოვნად იგერიებდენ მეთოდიური შეკავშირებით და ბრძოლით.

მესხეთში აღდგენილია მოდუნებული პარტიული მუშაობა. იმართება კრებები, მისდით გაზეთები, მუშაობაა ქალთა წრეში; **ატენში** ორგანიზაცია ახალგაზრდაა და თანდათანობით გავლენას აფართოებს, რასაც ხელს უწყობს რაიონში მუდროების ჩამოგდება ყაჩაღების განდევნით.

რუისში დაეტყო პარტიის გამოცოცხლება და ინტენსივობა, რაც სხვადასხვა მიზეზებით შეფერხებული იყო.

გომში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებმა მოიწადინეს დემაგოგიის საშუალებით თემის გამგეობის ფრაქციის წევრების და საერთოდ ჩვენი პარტიის ჩირქის მოცხება, მაგრამ დამარცხებულან და საქმე საბოდიშოთ გახდომიათ ამან ამხანაგები გაათამამა. მიღებულია სასწრაფო ზომები საუბნო ორგანიზაციების დასაარსებლათ თემის ფარგლებში.

გორი—მიწის ძვრის შემდეგ დაბნეულ წევრთა რეგისტრაცია დასასრულს უახლოვდება და მალე სისწორით დაიწყებენ მუშაობას კომიტეტი და კოლექტივები პირველი და მეორე რაიონის.

წინა სხდომამ კომიტეტისამ ბიუროს დაავალა თვითონ გამოენახა სახალხო გვარდიის გორის საოლქო შტაბის წევრების კანდიდატები, რაც ბიურომ შეასრულა, მაგრამ რადგანაც ზოგიერთი ბიუროს მიერ დასახელებული კანდიდატები, იწვევდენ დავას, ბიურომ ამ კრებაზე კომიტეტს წაუყენა ეს საკითხი საბოლოო გადასაწყვეტათ.

კომიტეტმა კანდიდატების დასახელების საკითხი სერიოზულათ სცნო და მისი საბოლოო გადაჭრა უდროვობის გამო გადასდო მორიგ სხდომისათვის.

მიმდინარე საკითხებში დაადგინეს, რომ ქვემდებარე ორგანიზაციებმა უნდა დასვან და არც უნდა გადასწყვიტონ სამაზრო კომიტეტის ან მისი ბიუროს დაუკითხავათ და უნებართვოთ ისეთი საკითხები, რომელსაც ექნება ზოგადი მნიშვნელობა,

აგრეთვე წინადადება მიეცა ადგილობრივ ორგანიზაციებს, მიიღონ ზომები სამაზრო კომიტეტის ფინანსების გასაძლიერებლათ წარმოდგენები გამართონ და აგრეთვე კუთვნილი სეპროცენტო გადასახადი დროზე მიაგროვონ.

იყო განცხადება ჯავის ხეობის შესახებ, რომ იქ წესიერება ირღვევა მათგან ვინც მოწოდებულია დაიცვან წესიერება, როგორიცაა მილიცია და სხვა... ისედაც დაჯილი ოჯები ჩავარდნილი არიან ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში.

იყო აგრეთვე განცხადება ამხ. პროპაგანდის'ტის ქვათაძისა, რომლის შესახებაც კომიტეტის კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია: მოისმინა რა სამაზრო კომიტეტის სხდომამ ცეკას პროპ. ამ. ქვათაძის განცხადება შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები არ არიან გაცნობილი გორის მაზრაში პარტიული მუშაობის მასალებ'ს და ისე ზერელე შთაბეჭდილებით აძლევენ ნებას თავის თავ'ს მიაწოდონ ყალბი ინფორმაცია თფილისში ცეკას წევრებს, რომ ვითომ გორში და მის მაზრაში ორგანიზაციები და მათში მუშაობა სრულებით არ არსებობდეს, ვალდებულათ სთვლის განაცხადოს, რომ ის ამხანაგები, რომლებიც ცეკას და ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ დავალებით ეწვევიან პარტიულ მოღვაწეობას მაზრაში, მხოლოთ ქების ღირსნი არიან, რადგანაც შედარებით წინანდელთან არასოდეს არ ყოფილა ისე კარგათ მოწყობილი ორგანიზაციები, როგორც ეს ეხლა არის. ამიტომ ადგილობრივ საქმის გაუცნობლათ უმაღლეს ორგანოსთვის შეუფერებელ ცნობების მიწოდება გორის სამაზრო კომიტეტს მიაჩნია დაუშვებლათ.

მოხეტიალე რაჭველი.

მუშათა შორის

ქალაქის საერთო საავათმყოფო კასაში

4 ნოემბერს ამხ. ელბაქიძის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის რწმუნებულების საერთო კრება.

კრებას დაესწრნენ 300-მდე დელეგატები. პირველათ მოსმენილ იქნა ამხ. დერკოვსკაიას მოხსენება კასის გამგეობის მოქმედების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კასის მუშაობას ხელს უშლის ის წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს ავათმყოფთა და დასახიჩრებულთა დაზღვევის შესახებ არსებულ კანონისა და ცხოვრების მოთხოვნილებების შორის. კანონის ზოგიერთი მუხლები კასის გამგეობის მიერ შეცვლილ იქნა. ასე მაგალითად გამგეობამ დაადგინა, სატარიფო პალატის მიერ გადადებული ტარიფი უნდა გავრცელდეს იმ მუშებზედაც, რომელნიც ავადმყოფობის გამო ხანგრძლივ შვებულებით სარგებლობენ; ავადმყოფთ მიეცემათ 8 კვირის სრული სამუშაო ქირა; დახმარება ხელფასის სამი მეოთხედიდან ერთ, ნახევრამდე. საავადმყოფო კასის წევრ ქალებს მშობიარობის დროს ეძლევათ 1000 მ.ნ. ხოლო ოჯახის წევრების დასაფლავების დროს 1500 მან. და 2000 მანეთი.

ამას გარდა მოწყობილია ყველა ავათმყოფთათვის ამბულატორიით (ექიმის დახმარება (გარდა კბილით ავათმყოფობისა). მიღწეულ იქნა შეთანხმება ქალაქის აფთიაქთან წამლების შეღავათიანათ მიცემის შესახებ, ქალაქთა კავშირის ამბულატორიასთან, სადაც წარმოებს ანალიზი.

ყველა რაიონებში კასას ყავს ექიმები და ფერშლები, რომლებიც ავათმყოფობის აცრას აწარმოებენ მიზიაკით ქინაქინით და სხვა.

ზაფხულში სავათმყოფო კასამ გაგზავნა სოფლებში ისეთი ავათმყოფები, რომელნიც ამას საჭიროებდნენ და მისცა მათ დახმარება ხელფასის სრული და ნახევარი რაოდენობის.

აპრილიდან 15 ოქტომბრამდე გაცემულ იქნა 165 შვებულებები 2 კვირიდან 4 თვის ვადით. 50 შემთხვევაში გაცემულია დახმარება ქალაქში საზრდოს გასაუმჯობესებლათ.

სამ ავათმყოფს საშვალება მიეცა სპეციალურად წამლობისა (ტალახის ვანებით და სხ.) ამას გარდა ქალაქის საერთო საავათმყ. კასასა ექიმი დახმარებას უწევდა თფილისში გამოგზავნილ ფოთის საავათმყოფო კასის ავათმყოფთ.

კასის გამგეობის კულტურულ განმანათლებელ სექციამ დაისახა ეპიდემიურ ავათმყოფობის წინაამდეგ საბრძოლველათ მოეწყო მთელი რიგი ლექციებისა.

მოწყობილია პატარა ბიბლიოთეკა დაზღვევისა და მუშათა საკითხის შესახებ.

ამ დროებით საავათმყოფო კასა აერთიანებს 229 წარმოებებს 4870 კაცით წარმოების მიხედვით ეს სამრეწველოები შემდეგ ნაირათ იყოფა: სათამბაქო სამრეწველო—31 წარმოება (მუშებია 1332, ამათში ქალები 898), ბეწვიან ნივთიერების (волокнистое вещество) დამუშავებაზე 10 წარმოება (184 მუშა, ამათში 85 ქალი), ელექტრონის ენერგიის მოწოდებაზე 9 სამრეწველო (161 მუშა—ამათში 3 ქალი).

შრომის სასტამბო დარგში 37 სამრეწველო (562 მუშა ამათში 26 ქალი).

ხის დამუშავებაზე 10 სამრეწველო (120 მუშა—3 ქალი). სასურსათო საქმეზე 63 სამრეწველო (785 მუშა ამათში 25 ქალი).

ქიმიურ მრეწველობაზე 3 სამრეწველო (26 მუშა ქალები არ არიან).

ლითონის დასამუშავებელ სამრეწველოზე 12 საწარმოვო (316 მუშა, ამათში ერთი ქალი).

მინერალთა დამამუშავებლების 3 საწარმოვო (17 მუშა ამათში ერთი ქალი). გიგიენაზე 21 საწარმოვო (427 მუშა ამათში 70 ქალი). ტყავეულობის დამმუშავებელთა 27 საწარმოვო (917 მუშა; მათში 38 ქალი).

4870 კასის მონაწილეთა შორის მამაკაცები არიან 3716 (76 პროცენტი) ქალები 1154 (24%).

მოისმინა რა მოხსენება საერთო კრებამ მოიწონა კასის გამგეობის მოქმედება.

ამის შემდეგ მოისმინა რა ამხ. კილაძის მოხსენება საქართველოს საავათმყოფო კასათა კონფერენციის მომწვევ საორგანიზაციო კომისიის მოქმედების შესახებ, კრება იწონებს ყველა იმ ნაბიჯებს, რომელიც გადგმულია ამ მიზნით კასის გამგეობისა და საორგანიზაციო კომისიის მიერ და ავალებს უკანასკნელთ ეცადონ, რომ ცხოვრებაში გატარონ გამომუშავებული დებულებები სახელდობრ: კასის მონაწილეთა საექიმო დახმარების წარმოების კასის ხელში გადაცემისა, საერთო უფასო და სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ, პროფესიონალურ ავათმყოფთა ან დასახიჩრებულ მუშათა დაზღვევის საქმის კასის ხელში გადაცემის შესახებ და სხვა.

რწმუნებულთა საერთო კრება ადგენს წინადადება მიეცეს კასის გამგეობას კასის მონაწილეთა დახმარების აღმოსაჩენათ, კანონის თანახმათ, დახარჯოს მოძრავი კაპიტალის ერთი მესამედი. დღემდე ამ მიზნით იხარჯებოდა საბრუნავი კაპიტალის ერთი მეცხრედი.

დასასრულ კრებამ აირჩია კასის გამგეობის ზოგიერთი წევრები და მოახდინა სარევიზიო კომისიის წევრთა ახალი არჩევნები. გ.

პროვინცია

ფოთიდან საჯევახომდე რიონით.

ამას წინათ მე და ერთი ჩემი ნაცნობი ჩავედით ფოთში, ავიყვანეთ ქალაქის თვითმართველობის კატერი „გურია“ და გამოვემგზავრეთ რიონით საჯევახოისკენ, რათა გაგვეგო თუ რამდენად შესაძლებელია მოეწყოს ნაოსნობა ამ მდინარეზე. ფოთიდან გამოვედით 4 საათზე—7 საათში მივადექით სოფ. პატარა ფოთს, იქ გავათიეთ ღამე, მეორე დღეს საათის ექვსზე წამოვედით, პირველ საათზე მოვაღწიეთ სოფ. სირიაჩქონს, იქ დავყავით სამ საათამდე—წამოვედით, შემოგვაღამდა სოფ. წყლიკარში, სადაც წყლის პირს გავათიეთ და მესამე დღეს დილის 8 საათზე მოვაღწიეთ საჯევახოში. ამ რიგათ გზაზე ვიყავით 40 საათი—კატერი კი იყო მოძრაობაში 12—15 საათი. ჩვენი კატერი „გურია“ ორჯელ სამჯერ გარიყა, ერთხელ ავარიაც მოგვივიდა მარჯვალი გაგვიტყდა, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოგზაურობა ჩვენი იყო მშვიდობიანი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კოკისპირულ წვიმას, რომელმაც ძლიერ შეგვაწუხა. დაახლოვებით გავიარეთ 120—130 ვერსი;—ამ სივრცეზე მდებარეობენ შემდეგი სოფლები: პატარა ფოთი, საგუნიო, კოდორი, ტალიკარი, ქორეისუბანი, გულეკარი, სირია ჩქონი, ქალადიდი, ქვიშ. ნჭალა და სხვა—მათი მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოვებით უდრის 10—12 ათას სულს, რომელიც მოცილებული არიან რკინის გზას 5—10—15 და 20 ვერსის მანძილზე და ივნისიდან ვიდრე აპრილამდე დიდ გაჭირვებას განიცდიან უგზოობით—ვინც ყოფილა სამეგრელოში ან გურიაში რიონის პირზე ის უთუოთ დამეთანხმება იმაში, რომ ეს ნაპირები და ირგვლივ მდებარე ალაგები წარმოადგენენ დიდ და გაუვალ ჭაობებს და გზების გაკეთება გაყვანა დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვს ალაგ-ალაგ არც შეიძლება მუდმივ გზის გაკეთება. თუმცა ჩვენი მატორიანი ნავი სიგრძით 12 არშინი და განით 4 არშინი, იჯდა წყალში ერთ არშინ ნახევარზე, მაგრამ მაინც ზოგ ალაგას ჩვენ გაგვირიყა, რადგანაც წყალში გზა არ ვიცოდით და საუბედუროთ გვ. ხლდა გამოუცდელი და ნაკლები წყლის მცოდნე „რეიზი“ ე. ი. გზის მაჩვენებელი და შემოლავე. მე წყლით არ მიმგზავრია, ასე რომ არ შემიძლია მოვახდინო შედარება სხვა მდინარეებთან ჩვენი რიონსა და ნაპირების სიმშვენიერისა, მაგრამ ერთი კი თამამად შემიძლია ვსთქვა—წყლით მოგზაურობა ჩემის აზრით არის დიდი დამატკბობელი და მართლაც რომ სასიამოვნო სხვა მოგზაურობასთან—რიონის ნაპირები წარმოადგენენ საუცხოვო სანახაობას და ადამიანის თვალის წინ ხშირად კინემატოგრაფის ლენტის სისწრაფით იშლება სხვადასხვა სურათები ერთი მეორეზე ლამაზი და მომხიბლავი. უპატრონობის და მოუვლელობის გამო რიონს მდებარეობა პატარა მდინარეს ალაგ-ალაგას განიერია, თითქმის ორ ვერს ახწევს, ისე არის დაბნეული წყალი. გარდა ამისა ძლიერ დაზიანებული არის და თანდათან ზიანდება ნაპირები ეტყობა რომ მდინარე თავის თავს გრძნობს სრულ ბატონ-პატრონად ძვირფასი და ნოყიერი ჭალებისა. ხშირია სურათი: ხედავთ წყლის ნაპირას ხაზოზე—ერთი საჟენის სიმაღლეზე რამოდენიმე ხეს: თითქმის დანახშირებულს—გეგონებათ ადამიანს ხელოვნურად გაუკეთებიაო—ეს არის ძველი ტყიანი ეზო, წალეკული წყლის მიერ, რღვევის დროს ხეები ჩაცვივნულა წყალში—შემდეგ წყალს მიუტოვებია ის მიდამო, წაქცეული ხეები ამ რიგად მიწაში დარჩენილა. ეხლა კი ისევ მოუბრუნდა წყალი თავის დატოვებულ ალაგს და დააშიშვლა მიწაში მის მიერ ჩატურტული ხეები. ერთ ალაგას „სირია ჩქონის“ აქეთ ჩვენ წავაწყდით ხშირ ხეებს წყალში ისე რომ გეგონებათ ხელოვნურათ გაუკეთებიათ ჯებირით. ას ოცი ვერსის მანძილზე ვერ ვნახეთ ვერც ერთი მანქანა, ან წისქვილი, რომელიც სარგებლობდეს რიონის ძალით, ეგრედ წოდებულ თეთრი ნახშირით და ეს უნდა მიეწეროს ჩვენს ჩამორჩენას და უვიცობას—ბორნები კი დავითვალეთ ოცამდე. ზევით მოგახსენეთ, რომ ჩვენ მოგზაურობას ჰქონდა მიზნათ გამოგვერკვია: 1) შეიძლება თუ არა ნაოსნობა რიონზე—ე. ი. აღდგენა წარსული ნაოსნობის, რომელსაც ჰქონდა ადგილი რიონში 40 წლის წინათ, მოგახსენებ ორპირის ბოლოზე; 2) რამდენად დასახლებულია რიონის პირები და ესაჭიროება თუ არა ხალხს ნაოსნობა, როგორც სატრანსპორტო საშუალება; 3) რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ყოველივე ამან ე. ი. ნაოსნობის აღდგენამ როგორც მიდამო სოფლებს, ისე სახელმწიფოს ფართო მასშტაბში. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ნაოსნობა შეიძლება თუ რასაკვირველია ხელს შეუწყობს პირობები—მაგ. თუ ვიშოვით ნავთის ზეთს და ბენზინს.—აქ საჭიროა მოვიხსენიოთ ის პატარა მატორიანი ნავები, რომლებიც წყალში ზიან არა უმეტეს ერთი არშინისა, და რომლებიც ეხლა ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ გააკეთა ნაოსნობისათვის. ამ პატარა გემების ძალით შეიძლება ფოთიდან თითო მგზავრობაზე წამოიღო 2—3 ათასი ფუთამდე—ფოთისაკენ კი გაცილებით მეტი წაიღება. მართალია, ორ-სამ ალაგას გასაწმენდია რიონის კალაპოტი, მაგრამ გაწმენდა კალაპოტის არ მოითხოვს არც დიდ ხარჯს და გაუწმენდელი კალაპოტი ვერ დააბრკოლებს ნაოსნობას. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ გემის „ვინტის“ მუშაობა თითო გავლაზე ალრწავებს წყალს მით, რომ სილატალანს ერეკება იქეთ-აქეთ; ეს გაღრმავება ალაგ-ალაგას შეიძლება ორ-სამ გოჯაზე დაყვეს—კალაპოტი ღრმავდება და წყალიც ერთ კალაპოტისკენ იწევს და აღარ იფანტება, როგორც ეს დღეს არის. მეორე საკითხზე უნდა მოგახსენოთ, რომ უნოყიერესი რიონის მიდამოები თუმცა არ არის მჭიდროთ დასახლებული, სულ ათიოდე სოფელი არის, მაგრამ ეს აიხსნება სწორედ იმითი, რომ გზა არ არის და ადამიანი კი ვერ დასახლდება ისეთ ალაგებში, სადაც ის მოწყვეტილი იქნება ქვეყანას. ერთმა სირია ჩქონის მცხოვრებმა მითხრა, „როდესაც ვინმე ავად გაგვიხდება სახლში, იძულებული ვართ ავადმყოფი მოუვლელობით მოვკლათ—არც ექიმი, არც წამალი,—გზა არ არის და აბა სად წავიყვანოთ—ერთი გზაა ნავით ფოთში და ეს კი ავადმყოფს უარესად გახდისო მე ვიცი, რომ გურული ყანის მუშები მიდიან ჭალა დიდში, იქ ღებენ მიწებს სამუშაოდ და ჰირნახულს დიდის ვაივაგლახით ეზიდებიან ნავებით გურიისაკენ—ნიადაგი ნაოსნობა, რომ იყოს პალადიდში არც ერთი ქცევა მიწა არ დარჩებოდა დაუმუშავებელად—და გარწმუნებთ იმაში, რომ ქცევა მიწა იძლევა მოსავალს 80—100 ფუთამდე—ხან კი მეტსაც. ნაოსნობის მოწყობა დიდათ ხელს შეუწყობს მეჯოგეებსაც, მეჯოგეობა ჩვენში გადიქცევა არა მარტო საქონლის მოსაშენებელ საშვალებათ, არამედ მერძეობის, ყველის და კარაქის წყაროთ. დღეს დღეობით კი მეჯოგეს არ აძლევს ხელს ყველი, რძე და კარაქი აკეთოს, რადგანაც ძლიერ ძვირად უჯდება მისი ბაზარზე გატანა. იმ დროს, როდესაც ფოთში კვერცხი ათი მანეთი ღირს, პატარა—ფოთში ჩვენ ვიყიდეთ თითო ხუთ მანეთად—ეტყობა კვერცხის ბაზარზე გატანას 4—5 მანეთი სჭირდება—მე მეტად მიმაჩნია მოვიყვანო მრავალი მაგალითები იმისა, თუ რა ბედნიერებას და სიკეთეს წარმოადგენს რიონზე მოწყობილი ნაოსნობა, როგორც ნაპირებზე მცხოვრებთათვის, ისე მთელ გურია-სამეგრელოსათვის. ერთ გარემოებას კიდევ აღვნიშნავ. სპეციალისტების აზრით, რომლებთანაც მე მქონდა ამის შესახებ ლაპარაკი, ნაოსნობა რიონზე ძლიერ გაადვილებს ჭაობების დაშრობის საქმეს მით, რომ გემების მიმოსვლით წყლის კალაპოტი ღრმავდება, წყალი ერთ ალაგს იყრის თავს—ნაკლებათ იბნევა და გაღრმავებული რიონი კი საუკეთესო წყაროა ტბების დასაშრობად. ნაოსნობის საკითხით პირადათ მე ვარ დაინტერესებული აგერ ორი წელია. მეგონა ჩვენი სატრანსპორტო საზოგადოება რაიმეს მოაგვარებდა, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი საამისო არ გაკეთებულა—ნაოსნობის მოწყობა მათი პირდაპირი მოვალეობა იყო, მაგრამ სატრანსპორტო საზოგადოების ხელი არ სჩანს. მე დავაინტერესე ამ საკითხით ვიწრო წრე ნაცნობებისა და სულ ახლო მომავალში შედგება საზოგადოება „რიონი, რომელსაც სურს ამ საქმის მოგვარება, თუ, რასაკვირველია, ჩვენი მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდება ამ საქმეს და ხელს შეუწყობს მას, რითაც კი შეეძლება.

ერუსლან არდიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობა ღრმეს მადლობას უცხადებს სენაკის დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და სხვა ყველა კერძო დამხმარე პირებს იმ დიდ შრომისა და მხურვალე თანაგრძნობისათვის, რომელიც თავის თავზე მიიღეს მათ 12 ივლისს გამართულ საღამოს მოწყობაში, რომლის წმინდა შემოსავალი დანიშნულ იყო წ. კ. საზოგადოების სენაკის განყოფილების ნივთიერი საშუალებათა გასაძლიერებლათ. ამ საღამომ განყოფილებას შესძინა წმინდა შემოსავალი 34,735 მ., ხოლო იმავე დღეს ყულაბებით შეკრებილი იქნა 22,066 მ. 46 კ., სულ 56801 მ. 46 კ.

გამგეობა სთხოვს ყველა გაზეთების რედაქციას გადაბეჭდონ ეს წერილი თავის გაზეთის უახლოეს ნომერში.

გამგეობა.

პასუხად ბ. პანს.

ბატ. პანი გაზ. „ახალი სხივის“ № 22-ში სწერს ბაკურიანის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. ქვეკოლექტივის შესახებ მას არ მოსწონებია ზემოხსენებული ქვეკოლექტივის მოქმედება და უკასრია რევიზორთა რევიზორობა. ბატონო პანო! 26 ივლისში ჩვენი ქვეკოლექტივი დაათვალიერეს ისიდორე რამიშვილმა და ნოე ხომერიკმა. გადასინჯულ იქნა მთელი წლის ოქმები პასუხისმგებელი პროპაგანდისტის ს. ედიბერიძის ვრცელი მოხსენებით; გამოირკვა, რომ ქვეკოლექტივის მუშაობაში არავითარ შეცდომებს არ ჰქონია ადგილი.

ნეტა ვის აკრიტიკებთ ამ შემთხვევაში ბ. პანო? მე მხოლოდ ვიტყვი მოკლეთ, ბ. პანო! უნდა მოიხსნათ ნიღაბი და დაამტკიცოთ რომელი კოლექტივის წევრებს დაუფარავს ბ. მ'ნი, ან რომელმა კოლექტივის წევრმა გაგიცხადათ არ დავეძებ კოლექტივსო. დახმარებაზედ რომ ბრძანებთ, ჩვენ ხომ სცენაზედ თამაში არ შეგვეძლო; დანარჩენში გეკითხებით რა გააკეთეთ კერძოთ თქვენ? ვისი იყო განათება? ვისი იყო ფარდები? ვინ მოაწყო ყველა ეს? და ბოლოს, მე რომ მოვედი რამდენი ბილეთი გქონდათ გაყიდული, რის გამოც გქონდათ თუ არა განზრახული წარმოდგენის ოთხი დღით გადადება? წავიღე თუ არა მე ბილეთები ხელზედ გასაყიდათ? იყო თუ არა შემოწირულების სახით 1000 მან. მეტი კოლექტივის სასარგებლოთ? ყველა ზემოხსენებული მგონია დახმარებაა. შემოგვიკურთხაო!—ბრძანებთ; ბარემ გეთქვათ, შემომიკურთხაო, ვინაიდან აქ მჟღავნდება თქვენი ფსევდონიმი, რათ გადაგექცეთ თქვენი პეპყი დანარჩენ პატივცემულ ახალგაზრდა არტისტებზედ? ნუ თუ არ გახსოვთ, რომ იქ „კურთხევა“ დაიწყო ბ. პ. ჯუღელმა, რომელმაც თავისი თავი გამოაცხადა ახალგაზრდა მარქსისტთა თავმჯდომარეთ და თან ჩვენ ორგანიზაციების ქუჩური ლოცვა-კურთხევით გაუმასპინძლდა. ბ. პ. ჯუღელს არაფერი „სხივის“ სასარგებლოთ არ უთქვამს, კერძოთ თავის სასარგებლოთ მოითხოვა 2000 მ., რაზედაც მისმა ამხ. არტისტებმა სასაცილოთ აიგდეს. მგონი ბ. ქუჩიშვილსაც ჩირქი მოსცხო 2000 მ. მოთხოვნით, და როდესაც ყველანი მივედით მგონ'ან ქუჩიშვილთან აქაც შავი ლაქა თვითონ მოეცხო ბ. ჯუღელს. მე ანგარიში უნდა გამესწორებინა დასის წევრებთან ნ. აბაშიძესთან და ქ. ბულიაშვილთან ვინაიდან მათთან მქონდა მოლაპარაკება. მათ ანგარიშიც გაუსწორე და მთელს დასს სადილიც ვაჭამე გარდა ბ. პ. ჯუღელისა, რომელიც გაბუტული ამ დროს ლობეში იმყოფებოდა. სირცხვილიც კია, რომ ბ. პანი ამ სადილს კოლექტივის წევრთა ქეიფათ ნათლავს. ბატ. პანო! რადგან თქვენ ბ. პ. ჯუღელის მახლობელი ნათესავი ბრძანდებით, გთხოვთ გადასცეთ შემდეგი: ა) ანგარიში გაუსწოროს სახლის პატრონს გ. გავას. ბ) ლადო აბაშიძეს 1000 მ., 3) ტასო კიკნაძისას 1280 მ. სხვადასხვა სანოვაგის ფასი, გ) სადგურის ბუფეტის 1 მ., კონიაკის ფასი, დ) და მე ჩამებაროს ჩემი ხუთი ცალი წიგნები „ვესტნიკ ზნანია“.

ბაკურიანის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. ქვეკოლექტივის თავმჯდომარე ა. კაპანაძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

დოქტორი მედიცინისა

ვ. პ. მოსეშვილი

დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ბოკერიასი

(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

[illegible] მ. ა. შაურანი

სპეციალურად სიფილისი და მის... დებები (შეზხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4 5 [illegible] ქ. № 33. 21 დეკ.)

ექიმი

გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლავების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 4—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი, ვაქცინოტერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეზხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი

გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ქ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეზხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ (7 ნოემ.

[illegible] ა. დ. კეკელიძე

სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი

დავით ლუკას ძე

კიღურაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (ს საღ. 5 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე.)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლო. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი

ქ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეზხაპუნება) საღამოობით 6—7½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.).

სახლი

მამული, აგარაკი,

იყიდოთ ან გაყიდოთ

აქვს დიდი კლიენტურა. დავითის ქ. № 3. ბინა 2, გოლოვინის პროსპექტის ახლო
თბილისი. „ინტელიგენტთა ჯგუფი“.
(3596 1—1)

სახელმწიფო გამოცდების კომისია

სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე კურს დასრულებულთათვის სწავლა-განათლების სამინისტროს მიერ უკვე დანიშნულია და შეუდგება გამოცდებს მიმდინარე 1920 წლის 1 დეკემბრიდან.

გამოცდების დაჭერის მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საქმის მწარმოებელს წარუდგინონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქნეს მოწმობა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის კურსის შესრულებისა, გამოცდების ჩაბარებისა წლოვანებისა და ორას ორმოცდა ათი მანეთი (250 მ.). (3551—3—3)